619
1978
ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

აპრილი
№ 4 1978 წ.

# გამარჯვების დროშა მეხუთედ

ეროვნული ბიბლიოთეკა




საქართველოს სს რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემა.

გივი ვახტანგაძის ფოტო.

10 მარტს თბილისში გაიმართა რესპუბლიკური პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა მონაწილეობით. იგი მიეძღვნა საქართველოს სს რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას, რომელიც მიენიჭა რესპუბლიკას 1977 წელს სახალხო მეურნეობის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის.

კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხანაგმა **ზ. ნ. ნურიევმა.** მასთან ერთად კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **პ. გ. გილაშვილი, შ. დ. კიკნაძე, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშევი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. ჩხეიძე, თ. ი. მოსაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი.** აქვე არიან აზერბაიჯანისა და სომხეთის მოძმე რესპუბლიკებიდან ზეიმზე ჩამოსული სტუმრები.

კრების მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ამხანაგი **ი. ი. სუხარევი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკი ამხანაგი **ნ. ი. კოსოლაპოვი.**

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა **პ. გ. გილაშვილმა.**

ხანგრძლივი ტაშის გრიალში პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ **ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის** მეთაურობით.

ამხანაგ **ზ. ნ. ნურიევის** სიტყვით გამოსვლის დროს საქართველოს სსრ წარმომადგენლებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

საქართველოს სს რესპუბლიკისათვის საპატიო ჯილდოს გადაცემას შეკრებილნი მქუხარე ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

შემდეგ მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა **ზ. ა. პატარიძემ.**

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა **ე. ა. შევარდნაძემ.**

დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევისადმი.**

კრებამ ერთხელ კიდევ ნათელყო ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მონოლითური შეკავშირება კომუნისტური პარტიის გარშემო, მათი მტკიცე დარაზმულობა ახალი თვალსაჩინო წარმატებების მოსაპოვებლად.



# ლენინის გული

ჩემი ქვეყანა დგას ჩემს წინაშე,
როგორც ზღაპარი შემონახული.
თითქოს ელვარე ოქროს წვიმაში
აყვავებული ქუხს გაზაფხული.

მე, ამ ქუხილის სმენით გართული,
მომავლისაკენ რომ ვიყურები, —
ვარსკვლავებისკენ ჩანს ამართული,
ლაჟვარდოვანი საფეხურები.

და თვალშეუდგამ მწვერვალის თავზე
მოჩანს მშვენება ჯერ არნახული, —
გმირული შრომის ნაყოფით სავსე
კაცობრიობის დიდი ზაფხული.

მაგრამ მე ვამბობ, კაცი პატარა,
რომ იმ მწვერვალზე უფრო მაღლა ვარ,
რადგან არწივის ფრთებმა მატარა,
რადგან სამშობლოს დროშას ვახლავარ,

რადგან ბრძოლათა მღელვარე ზღვაში
მე განვიცადე სიამე სრული,
მით, რომ ვცხოვრობდი ამქვეყნად მაშინ,
როცა ფეთქავდა ლენინის გული.

ალექსანდრე აბაშელი

15863

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით.

დროშა

№ 4 (496). აპრილი. 1978 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა", 1978.

ეროვნული ბიბლიოთეკა







მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:
გულნარა ბახტაძე,
თენგიზ გოგოლაძე
(პ/მგ. მდივანი),
ოთარ დემეტრაშვილი,
გურამ დოჩანაშვილი,
სერგო დურმიშიძე,
დინარა ნოდია
(მხატვარი-რედაქტორი),
ლადო სულაბერიძე,
ილია ტაბაღუა,
უჩა ჯაფარიძე.

# ბელადის გულის წადილი

მსოფლიოს პროლეტარიატის ბელადი ვ. ი. ლენინი კარგად იცნობდა საქართველოს მდიდარ და მრავალფეროვან ბუნებას. ვლადიმერ ილიას ძეს დიდი სურვილი ჰქონდა ჩამოსულიყო მზიურ საქართველოში, ესარგებლა მისი ბუნების ძვირფასი სამკურნალო თვისებებით, აღედგინა ჯანმრთელობა.

1922 წლის გაზაფხულზე ბელადმა გადაწყვიტა საქართველოში გამომგზავრება. აპრილის დასაწყისში მან სერგო ორჯონიკიძეს გამოუგზავნა წერილი, რომელშიც აღნიშნავდა, რომ სჭირდება მკურნალობა და დასვენება. ვ. ი. ლენინი სთხოვდა სერგო ორჯონიკიძეს, რომ შეერჩია მისთვის შესაფერისი საარაკო ადგილი საქართველოში და გაეგზავნა იმ რაიონის რუკა და კლიმატურ-ბუნებრივი პირობების აღწერა, სადაც ნავარაუდევი იქნებოდა მისი დასვენება-მკურნალობა.

სერგო ორჯონიკიძეს დაუყოვნებლივ მიუღია საჭირო ზომები ვ. ი. ლენინის თხოვნის შესასრულებლად. მას, ი. ფრანგულიანთან და სხვა სპეციალისტებთან ერთად, ადგილზე დაუთვალიერებია და შეუსწავლია საარაკო ადგილები აბასთუმანსა და ბორჯომში. მათ ყველაზე მეტად მოსწონებიათ აბასთუმანში მდებარე ყოფილი გიორგევის სასახლე, რომელიც ახალი შეკეთებული იყო.

ძველი ბოლშევიკის ი. ფრანგულიანის გადმოცემით, ეს სასახლე გაშენებული ყოფილა წიწვნარში, მყუდრო და სხვა აგარაკებისაგან იზოლირებულ ადგილას. აგარაკს ამკობდა აგრეთვე კვიპაროსის ხეები. იქვე ახლოს მოედინებოდა პატარა მდინარე, ხოლო სასახლის გვერდით ყოფილა წყაროს წყლის აუზიც. სერგო ორჯონიკიძეს სწორედ ეს აგარაკი აურჩევია ბელადისათვის დასასვენებლად.

სერგო ორჯონიკიძეს ი. ფრანგულიანისათვის დაუვალებია, რომ საქართველოს საკურორტო სამმართველოს სასწრაფო ზომები მიეღო ხსენებული აგარაკის კიდევ უფრო კეთილმოწყობისათვის და იქ ვ. ი. ლენინის დასასვენებლად ყველაზე ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად.

ორჯონიკიძემ, თხოვნის თანახმად, აცნობა ვ. ი. ლენინს მისთვის აბასთუმანში დასასვენებლად შერჩეული ადგილის შესახებ და ამ რაიონის ბუნებრივი პირობების სათანადო მონაცემები გაუგზავნა. ამის შემდეგ საქართველოს კურორტების დასათვალიერებლად მოსკოვიდან ჩამოვიდა ლენინის მკურნალი ექიმი, ხოლო ცოტა უფრო მოგვიანებით — რსფსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ნ. სემაშკო.

ნ. სემაშკოს აბასთუმანში შერჩეული აგარაკი არ მოსწონებია ილიჩის დასასვენებლად. მას ბორჯომი უფრო შესაფერის აგარაკად ჩაუთვლია და ლენინისთვისაც ბორჯომში დასვენება ურჩევია.

ვ. ი. ლენინმა სერგო ორჯონიკიძეს გამოუგზავნა მეორე წერილი, რომელშიც აღნიშნავდა, რომ

...ბორჯომი ფრიად გამოსადეგია, რადგან იქ არის ვაკე ადგილი სასეირნოდ, რაც აუცილებელიც არის ნადეჟდა კონსტანტინეს ასულისათვის. გარდა ამისა, ბორჯომი სიმაღლის მხრივ შესაფერისია, ხოლო აბასთუმანი ძალიან მაღალია, 1000 მეტრზე მეტია.

მართალია, სერგო ორჯონიკიძემ და სხვა ქართველმა ბოლშევიკებმა ბელადს ბორჯომში ყოველმხრივ მოუმზადეს დასასვენებელი ადგილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვ. ი. ლენინმა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ვერ შეძლო თავისი გულის წადილის ასრულება — საქართველოში დასასვენებლად და სამკურნალოდ ჩამოსვლა.

**შალვა ბერუაშვილი,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

# ლენინის პორტრეტი

სმოლენსკის ოლქის უღრან ტყეში დაბანაკებული პარტიზანული რაზმის წევრმა ლიუდმილა კულაკოვამ ერთხელ, საბრძოლო ოპერაციიდან დაბრუნების შემდეგ, არყის ხეზე ვ. ი. ლენინის პორტრეტის ამოჭრა დაიწყო.

იგი გატაცებით მუშაობდა. ლიუდმილა კულაკოვას საქმიანობას ყოველდღე ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს გახალისებული პარტიზანები.

ლიუდმილა კულაკოვამ 1941 წელს დაამთავრა გორკის უნივერსიტეტის ბიოლოგიური ფაკულტეტი და სოფლის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა.

1942 წლის გაზაფხულზე იგი პარტიზანულ რაზმში წავიდა მზვერავად და თავდადებით ებრძოდა გერმანელ ფაშისტებს.

როცა მზვერავმა ქალმა მუშაობა დაამთავრა, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის პორტრეტის ირგვლივ პარტიზანებმა მოიყარეს თავი. ყველა აღტაცებული იყო. პარტიზანები სიხარულით შესცქეროდნენ დიდი ბელადის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქნელის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახეს. ამ სახემ მეტი ძალა და მხნეობა შემატა მათ, მტრისადმი მეტი სიძულვილისა და დაუნდობელი ბრძოლის დაუოკებელი სურვილით აღავსო.

სიტყვა კომისარმა მიხეილ ჩეჩერინმა აიღო:

— ამხანაგებო, ეს პორტრეტი ყველა ჩვენთაგანისათვის დიდი ოქტომბრის ზეიმის უძვირფასესი საჩუქარია. როცა მტერზე გავიმარჯვებთ, ბელადის პორტრეტი მუზეუმის მშვენება გახდება. გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს, წინ, მტერთან საბრძოლველად!

დიდი სამამულო ომის დღეებში შექმნილი ვ. ი. ლენინის პორტრეტი სამშობლოს დასაცავად წამომართული პარტიზანების ბრძოლისა და გამარჯვების სიმბოლოდ გადაიქცა პარტიზანულ რაზმში ბელადის პორტრეტს უძღვნიდნენ ლექსებს. ქმნიდნენ სხვადასხვა პარტიზანულ ლეგენდებს, ვ. ი. ლენინის პორტრეტის წინ იღებდნენ საბრძოლო ფიცს...

მტრის ზურგში შექმნილი ბელადის პორტრეტი ამჟამად სმოლენსკის ოლქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება.

ლიუდმილა კულაკოვამ დიდი სამამულო ომის შემდეგ დაამთავრა მოსკოვის სამხატვრო ინსტიტუტი. ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ცხოვრებისა და შემოქმედების თემა-დღემდე ძირითადი თემაა ნიჭიერი მხატვარის ლიუდმილა კულაკოვას შემოქმედებაში.

# ვიწონებთ, მხარს ვუჭერთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

22 მარტს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტის საკითხი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება ძირითადად მოიწონოს საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტი და დაადგინა გამოიტანოს იგი რესპუბლიკაში საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

ახალი კონსტიტუციის პროექტში, მომწიფებული სოციალიზმის საზოგადოების ქარტიის შესაბამისად, ასახულია ის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნები, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში მოხდა ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღების შემდეგ განვლილი დროის მანძილზე.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტში გათვალისწინებულია რესპუბლიკის განვითარების ეროვნული და სხვა თავისებურებანი.

საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ ახალ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტის გამოქვეყნება უდიდესი სახელმწიფო და პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა; ამ ისტორიულმა მოვლენამ რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის განსაკუთრებით მაღალი პატრიოტული და შრომითი აღმავლობა გამოიწვია.

საქართველოში ახლა ჩვენი მშრომელები გულდასმით ეცნობიან, იხილავენ, სწავლობენ, აანალიზებენ ახალი კონსტიტუციის პროექტს.

ეჭვს გარეშეა, რომ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა ერთხელ კიდევ დაადასტურებს საქართველოს მშრომელთა მონოლითურ შეკავშირებას კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის — პარტიისა და ხალხის გამოჩენილი შვილის ლ. ი. ბრეჟნევის გარშემო, სტიმულს მისცემს 1978 წლის გეგმებისა და მაღალი სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებას, რესპუბლიკის მთელი მორალურ-პოლიტიკური ვითარების საბოლოო გაჯანსაღებას.

### სიტყვას საქმედ ვაქცევთ!

გულდასმით გავეცანი პრესაში გამოქვეყნებულ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტს, რომელიც კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელმა კომისიამ წარადგინა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოიწონა საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოსატანად.

ახალი კონსტიტუციის პროექტში ზუსტად არის ასახული საქართველოს მშრომელების ინტერესები, მისწრაფებები, იმედები, ჩვენი ხალხის სოციალისტური მონაპოვარი.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ დღემდე მოქმედ კონსტიტუციასთან შედარებით, ახალი კონსტიტუციის პროექტში შეტანილია მთელი რიგი ახალი თავები რომლებიც უფრო უკეთესად, უფრო ღრმად ასახავენ ჩვენი თანამედროვე ცხოვრების არსს.

ახალი კონსტიტუციის პროექტში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი სოფლის მშრომელთა საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას, მიწის მოვლა-დაცვას.

სწორედ რომ ეს მადლიანი მიწაა ჩვენი ხალხის არსებობისა და სიმდიდრის ძირითადი წყარო.

ჩემი ბრიგადის წევრებმა მტკიცედ გადავწყვიტეთ, წელს უფრო გავზარდოთ ყურძნის მოსავალი. თითეული ჩვენთაგანის მიზანია, ჰექტარზე საშუალოდ 120 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ყურძენი მიიღოს.

თავდადებული შრომით სიტყვას საქმედ ვაქცევთ! ხალხის ინტერესების გამომხატველი ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც მალე ჩვენი ცხოვრების ძირითად კანონად იქცევა, ახალი წარმატებებისაკენ მოგვიწოდებს.

**მიხეილ ღვედაშვილი,**

სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის ი. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

### სიამაყის გრძნობით

დარწმუნებული ვარ, მთელი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელების გულისთქმას გამოვხატავ, თუ ვიტყვი, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებამ სიხარულისა და სიამაყის გრძნობით აგვავსო ყველა.

ეს პოლიტიკური მოვლენა ჩვენი ცხოვრების კიდევ ერთი ნათელი, კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია.

რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის ღერძი, მისი მთავარი აზრი სოციალისტური დემოკრატიის გაფართოება და გაღრმავებაა.

ახალი კონსტიტუციის პროექტში, მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, მკაფიოდ არის ახსნილი სახელმწიფოსა და საზოგადოების მართვის სტრუქტურა, კიდევ უფრო გაფართოებულია საბჭოთა ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტი ერთხელ კიდევ სრული დამაჯერებლობით ნათელყოფს, თუ როგორ ზრუნავს ჩვენი პარტია სამშობლოს აყვავებაზე, მისი ძლიერების განმტკიცებაზე, ხალხის ბედნიერებაზე, კიდევ უფრო ნათელი მომავლის შექმნაზე.

ამ მშობლიურ ზრუნვას ჩვენი მშრომელები ამაღლებული ენთუზიაზმით უპასუხებენ. თითოეული საბჭოთა მოქალაქის უპირველესი მოვალეობაა, თავისი ღირსეული წვლილი შეიტანოს მეათე ხუთწლედის მესამე დამკვრელური წლის წარმატებით დაგვირგვინებაში, შექმნას მტკიცე საფუძველი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ღირსეულად განხორციელებისათვის.

**ვენერა მინაძე,**

დოზირებისა და შესაფუთი ავტომატების სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ბიბლიოთეკის გამგე.

### ახალი შთაგონების წყარო

რამდენიმე თვის წინათ ჩვენი სამშობლოს მშრომელებმა ერთსულოვნად მოიწონეს და მიიღეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუცია.

ჩვენი ცხოვრების ეს ძირითადი კანონი კიდევ ერთი დადასტურებაა პარტიის ლენინური პოლიტიკის. მასში მკაფიოდ და ღრმად არის ასახული საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებული უდიდესი წარმატებები პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის დარგებში.

ახალ კონსტიტუციაში საბჭოთა სახელმწიფოს უზენაეს მიზნად გამოცხადებულია კომუნიზმის აშენება.

ყოველივე ეს სიხარულისა და სიამაყის გრძნობით ავსებს მშრომელთა გულებს. ისინი მხურვალე მადლობას უხდიან კომუნისტურ პარტიას, ცენტრალურ კომიტეტს, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს სამშობლოს აყვავებაზე და ხალხის კეთილდღეობაზე მუდამ მამობრივი, შეუნელებელი ზრუნვისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა საყოველთაო განხილვისათვის ახლახან პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტი.

დარწმუნებული ვარ, რესპუბლიკის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვას ერთსულოვნად უპასუხებენ გადიდებული სოციალისტური ვალდებულებებით, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, ხუთწლედის მესამე დამკვრელური წლის საუკეთესო მაჩვენებლებით დაგვირგვინებისათვის.

ჩვენმა საბჭოთა მეურნეობამ კარგი შედეგებით დაამთავრა გასული სამეურნეო წელი. სამშობლოს გეგმის ზევით ტონობით მაღალხარისხოვანი ჩაის ნედლეული მივეცით.

დამკვრელური წელი მეტს გვავალებს! ძალასა და ენერგიას არ დავზოგავთ, რომ თავდადებული შრომით კვლავაც გავახაროთ დედასამშობლო.

**იური ცეკვავა,**

ცხაკაიას რაიონის გეჯეთის საბჭოთა მეურნეობის გამწყობი ოსტატი.

# მეცხოველეობა - პირველი რიგის საზრუნავი



მ. მდივანი



თ. კაკოჩაშვილი



გ. ჯანიაშვილი



ვ. ბესელია

ე. გვენცაძე



მეცხოველეობის აღმავლობა დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობის პრობლემაა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილში „1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ", ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა იყოს ხორცის წარმოების ყოველი ღონისძიებით გადიდება.

და მართლაც, საბჭოთა საქართველოში, ისე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, მეცხოველეობის დარგის აღმავლობისათვის, ფერმების პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის ბრძოლამ ჭეშმარიტად საერთო-სახალხო ხასიათი მიიღო.

„მეცხოველეობის პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების საქმე წარმატებით გადაწყდება, — ნათქვამია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილში „მეცხოველეობა — პირველი რიგის საზრუნავი", — თუ საზოგადოებრივ მეურნეობებთან ერთად ამ დიდ ლაშქრობაში აქტიურად ჩაებმებიან ქალაქისა და სოფლის მშრომელები, სამრეწველო საწარმოთა, ვაჭრობის, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მუშაკები, მოსწავლე ახალგაზრდობა".

ჩვენი ხალხი პარტიის მოწოდებას მუდამ საქმით უპასუხებს. ასეა ამჯერადაც

მერი მდივანი,

გარდაბნის რაიონის ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

დიდ გამარჯვებებს აღწევს ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის შრომითი კოლექტივი. ფაბრიკას ზედიზედ მეოთხედ მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა; ფაბრიკა შეტანილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საპატიო დაფაზე. საიუბილეო წელს 19 მილიონი ცალის ნაცვლად სახელმწიფოს მივყიდეთ 22,3 მილიონი ცალი კვერცხი, 775 ტონა ხორცი ნაცვლად 560 ტონისა, მივიღეთ 60.000 მანეთი ზეგეგმითი მოგება.

დამკვრელური წლის გეგმები ჩვენთვის განსაკუთრებით დაძაბულია, მიუხედავად ამისა, გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მივყიდით 1,5 მილიონ ცალ კვერცხს, 130 ტონა ხორცს, საშუალო კვერცხმდებლობას გავზრდით 205 ცალამდე.

ხორცის წარმოების გადიდების ახალი რეზერვიც ავამოქმედეთ — შარშან მეღორეობის ფერმა მოვაწყვეთ და მიმდინარე წლის დამდეგს 2,5 ტონა ღორის ხორცი უკვე მივყიდეთ სახელმწიფოს, წლის ბოლომდე კი 70 ტონას მივყიდით.

თენგიზ კაკოჩაშვილი,

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

დამხმარე მეურნეობაში შარშან მოეწყო მეკურდღლეობის ფერმა, სადაც ამჟამად ოთხასზე მეტი კურდღელია. პირველსავე წელს 240 კილოგრამი კურდღლის ხორცი ვაწარმოეთ, წელს 1.200 კილოგრამზე მეტი კურდღლის დიეტური ხორცი იქნება წარმოებული.

ტიპიური პროექტით ავაგეთ საღორე 300 სულზე. წლის ბოლომდე 220 ცენტნერზე მეტ ღორის ხორცს ვაწარმოებთ, მომდევნო წლებში კი ერთიორად მეტს. ღორების საკვებად გამოვიყენებთ დამხმარე მეურნეობაში მოწეულ სიმინდს, საზოგადოებრივი კვების ნარჩენებს.

ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა შარშან საკარმიდამო მეცხოველეობიდან 30 ტონაზე მეტი ხორცი მიჰყიდეს სახელმწიფოს; მათ შორის მდნობელმა ა. ლილუაშვილმა 460 კილოგრამი, ე. აბელაშვილმა 350 კილოგრამი, გ. ნიქაბაძემ — 340 კილოგრამი, გ. თხელიძემ — 180 კილოგრამი, გ. კვანტრიშვილმა — 160 კილოგრამი.

ზღვა წვეთებისაგან შედგება, ეს იქნება ჩვენი პატარა წვლილი დიდ საერთო საქმეში.

გრიშა ჯანიაშვილი,

თეთრი წყაროს რაიონის მანგლისის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ახლახან გამართულმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმმა განიხილა საკითხი „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და „სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების თაობაზე" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ".

სპეციალიზაციამ და კონცენტრაციამ მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში მანგლისის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს პირველი წარმატებანი მოუტანა. ფერმებში განხორციელდა შიდასამეურნეო სპეციალიზაცია. ფურებს, სახორცედ განკუთვნილ მოზარდს, აგრეთვე ინტენსიურ სუქებაზე დაყენებულ პირუტყვს ახლა ცალ-ცალკე ვინახავთ. ამან მნიშვნელოვნად აამაღლა ფერმების პროდუქციის წარმოება.

საიუბილეო წელს სახელმწიფოს 260 ტონის ნაცვლად 298 ტონა ხორცი მივყიდეთ, წინა წელთან შედარებით 71 ტონით მეტი; ჩაბარებული პირუტყვის საშუალო წონამ 280 კილოგრამს მიაღწია. წელს 245 ტონის ნაცვლად 300 ტონა ხორცს მივყიდით სახელმწიფოს, ჩაბარებული პირუტყვი მძიმე წონისა (300 კილოგრამზე მეტი) და მაღალი ნაკვებობის იქნება. ახლახან დამზადებას 50 სული ინტენსიურად გასუქებული მოზარდი ჩავაბარეთ, მათმა საშუალო წონამ 315 კილოგრამს მიაღწია.

ვაჟა ბესელია,

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს ნავთლუღის პურპროდუქტების კომბინატის დირექტორი.

ჩვენ კოლექტივს მეცხოველეობის აღმავლობისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. პირველ ყოვლისა, ეს შეეხება კომბინირებული საკვების წარმოებას. შარშან რესპუბლიკის მეურნეობათა მერძეეობის ფერმებს 61.000 ტონის ნაცვლად 63.651 ტონა მაღალხარისხოვანი კომბინირებული საკვები მივაწოდეთ. წელს 61 ათასი ტონა საკვები უნდა გამოვუშვათ, გეგმას რამდენიმე ათასი ტონით გადავაჭარბებთ. ცილოვანი ნივთიერებით კომბინირებული საკვების გასამდიდრებლად გამოშვებულია 10.000 ტონაზე მეტი კარბამიდის კონცენტრატი. წელს 12.000 ტონაზე მეტი ამ სახის პროდუქციას გამოვუშვებთ. ამას 1,5 ათას ტონაზე მეტი ვიტამინოვანი პრემიქსებიც დაემატება.

დამხმარე მეურნეობის მეღორეობის ფერმა წელს 140 ტონამდე ხორცს მიჰყიდის სახელმწიფოს, გასული წლის 8,8 ტონის ნაცვლად. ახლო მომავალში ღორის ხორცის მიყიდვა ერთიორად გაიზრდება, დაიწყო ტიპიური პროექტით საღორის მშენებლობა.

მუშა-მოსამსახურეები სახელმწიფოს 25 ტონამდე ღორის ხორცს მიჰყიდიან.

ელგუჯა გვენცაძე,

ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დირექტორი.

მეათე ხუთწლედის დასაწყისში მოვაწყვეთ მეცხოველეობისა და მებოსტნეობის დამხმარე მეურნეობა, საამისოდ ავითვისეთ სამი ჰექტარი გამოუყენებელი ფართობი. დამხმარე მეურნეობაში შარშან 5 ტონაზე მეტი ბოსტნეული მოვიწიეთ, დავრგეთ ციტრუსები, ხეხილი, მოვაწყვეთ მეღორეობისა და მერძეული პირუტყვის ფერმები, სადაც 38 ფური და 5 ქუბი გვყავს. ახლახან დამთავრდა საღორის მშენებლობა 25 ქუბზე, მნიშვნელოვნად გაიზრდება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხორცის წარმოებაც, მიღებული ნამატი კი ინტენსიურად გასუქდება. 1980 წელს დამხმარე მეურნეობაში ხორცის წარმოება 25 ტონას გადააჭარბებს.

ჩვენი ქარხნის მაგალითი მოწმობს, რომ დამხმარე მეურნეობას დიდი სიკეთე მოაქვს შრომითი კოლექტივისათვის. ახლა აჭარაში ამ საქმეს მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებიან.

პარმენ როგავა,

წალენჯიხის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII (1975 წელი) პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ როცა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების რეზერვებზე ვლაპარაკობთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის უზარმაზარი რესურსები, რომლებიც არის ეგრეთ წოდებული მცირე მეცხოველეობის დარგებში — მეფუტკრეობაში, მეცხენეობაში, მონადირეობაში, მეთევზეობაში. ამ საპროგრამო მითითების შესასრულებლად მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ჩვენმა კოლექტივმა.

საიუბილეო წელს სატბორე მეურნეობიდან რეალიზებულია 11 ტონა „ცოცხალი" ნაცვლად 10 ტონა თევზისა, საფუტკრეში მიღებულია 50 ცენტნერი სასაქონლო თაფლი, მეღორეობის ფერმამ სახელმწიფოს მიჰყიდა 5 ტონა ხორცი. პლენუმის შემდეგ მოეწყო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, მეკურდღლეობისა და მეიხვეობის ფერმები, სადაც 20 სული პირუტყვი, 300 დედა კურდღელი და 2.000-მდე ფრთა იხვია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილის პასუხად გადავწყვიტეთ, გეგმით გათვალისწინებული 20 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მივყიდოთ 24 ტონა ღორის ხორცი, ორი ტონა იხვისა და ამდენივე კურდღლის ხორცი. საკარმიდამო მეიხვეობისა და მეკურდღლეობის განვითარებისათვის მოვაწყობთ ინკუბატორს. მოსახლეობას მივყიდით 60 ათას იხვის ჭუკს და ასობით კურდღელს.

ვასილ დარბაიძე,

მარნეულის რაიონის მარნეულის საბჭოთა მეურნეობის მეღორეობის ფერმის გამგე.

მეღორეობის ფერმას იაფი ხორცის „ფაბრიკასაც" უწოდებენ მეურნეობაში. ცამეტი კაცი შრომობს ამ „ფაბრიკაში", ცამეტი შრომისმოყვარე ადამიანი. ამ ცამეტმა დაუღალავმა მარჯვენამ ხუთწლედის მეორე წელს 77 ტონის ნაცვლად 104 ტონა ღორის ხორცი აწარმოა, ვალდებულებით გათვალისწინებული 90 ტონის ნაცვლად 100 ტონა ხორცი მიჰყიდა სახელმწიფოს, ამასთან 10 ათას მანეთზე მეტი მოგება მისცა მეურნეობას.

ეს იყო შარშან. დამკვრელური წელი გაცილებით მაღალ მიჯნებს გვისახავს, გვრაზმავს, რომ ჩვენი წვლილიც შევიტანოთ რესპუბლიკაში 140.000 ტონა ხორცისათვის გაჩაღებულ საერთო-სახალხო ლაშქრობაში.

გეგმით 90 ტონა ხორცი უნდა ვაწარმოოთ, სახელმწიფოს კი 80 ტონა უნდა მივყიდოთ. გადავწყვიტეთ, სახელმწიფოს მივყიდოთ 110 ტონა ღორის ხორცი, ხოლო ვაწარმოოთ 120 ტონა.

ზაქარია არაბული,

ახმეტის სატყეო მეურნეობის დირექტორი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის შემდეგ ჩვენ ხელი მოვკიდეთ ტყის სიკეთის ხორცის წარმოების გადიდების სამსახურში ჩაყენებას; შევიძინეთ ტყის პირობებს კარგად შეგუებული კახური ჯიშის 20 ქუბი, უკვე მიღებულია 100 სულამდე ნამატი. ახლახან შევიძინეთ ორმოცი სული მანგალიცის ჯიშის სანაშენე ქუბები. ასე რომ, ახლა ქუბები საკმაო რაოდენობით გვყავს, ქუბების სიმრავლე კი ღორის ხორცის წარმოების გადიდების მთავარი პირობაა.

გვაქვს ყოველგვარი პირობები, რომ წელსვე სატყეო მეურნეობის მეღორეობის ფერმიდან გეგმით გათვალისწინებული 7 ტონის ნაცვლად 18 ტონა ღორის ხორცი მივყიდოთ სახელმწიფოს.

მიხეილ სასკურია,

ფოთის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი.

შარშან მოვაწყვეთ მეღორეობის ფერმა 15 ქუბზე, სახელმწიფოს 1,6 ტონა ღორის ხორცი უკვე მივყიდეთ. წელს ღორების სულადობას 50-მდე გავზრდით, სახელმწიფოს 2 ტონა ღორის ხორცს ჩავაბარებთ, ამასთან ბევრი მუშა-მოსამსახურე საკარმიდამო მეურნეობიდან სახელმწიფოს ჩააბარებს 1-2 სულ ღორს ან მსხვილფეხა რქიან პირუტყვს. მოვაწყობთ მეკამეჩეობის ფერმას 10 მეწველ კამეჩზე.

გავაჩინეთ ინკუბატორი. შარშან 67.700 ფრთა ერთდღიანი წიწილა მივყიდეთ მოსახლეობას, წელს მივყიდით 100.000 ფრთას, შევქმნით სადედე გუნდს, რათა ინკუბატორში საკუთარი ნორმების კვერცხები ჩავაწყოთ.

საკარმიდამო მეღორეობისა და მეფრინველეობის ფართოდ განვითარებისათვის დავამზადებთ და მოსახლეობას მივყიდით 150 მარტივი ტიპის საღორესა და 1.000 საფრინველე — გალიას.

ნუგზარ მეტრეველი,

გორის რაიონის ფლავის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.

ფლავის კოლმეურნეობაში ყველა დარგი აღმავლობის გზით ვითარდება, მაგრამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის შემდეგ მძლავრი აღმავლობის გზაზე განსაკუთრებით მტკიცედ დადგა მეცხოველეობა. ამასთან, დარგი რენტაბელური გახდა, 1977 წელს მეცხოველეობიდან 22.000 მანეთი მოგება მივიღეთ.

გაიზარდა ფერმების პროდუქციის წარმოება. შარშან ფურის საშუალო წველადობამ 3.260 კილოგრამს მიაღწია, სახელმწიფოს 280 ტონის ნაცვლად 385 ტონა რძე მიეყიდა; წელს 370 ტონას მაინც მივყიდით, ფურის საშუალო წველადობა კი 3.400 კილოგრამს მიაღწევს. პირველ კვარტალში სამ ტონამდე რძე მივყიდეთ სახელმწიფოს გეგმის ზევით.

მუდამ დიდი გადაჭარბებით ვასრულებთ ხორცის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის სოციალისტურ ვალდებულებას, დამზადებას ვაბარებთ მხოლოდ მძიმე წონისა და მაღალი ნაკვებობის პირუტყვს. დავნერგეთ სახორცე მოზარდის ინტენსიური სუქება. შარშან 37 ტონის ნაცვლად 57 ტონა ხორცი მივყიდეთ სახელმწიფოს, წელს კი 70 ტონამდე ხორცს მივყიდით.



პ. როგავა



ვ. დარბაიძე



ზ. არაბული



მ. სასკურია

ნ. მეტრეველი



საქართველოს შეუძლია და უნდა გახდეს კიდეც მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა!





ელექტრონული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ეთერ ქემერტელიძე.

# ქიმია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტმა, რომელიც მისი დამაარსებლის იოველ ქუთათელაძის სახელს ატარებს, არსებობის მანძილზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ქიმიო-ფარმაცევტული მეცნიერებისა და მრეწველობის განვითარებაში.

ფარმაცევტული ტექნოლოგიის განვითარების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის აკად. იოველ ქუთათელაძეს.

ბიოქიმიის ახალ მიმართულებათა განვითარების, კერძოდ, მთის კლიმატის ბიოქიმიას, ბიოქიმიურ ფარმაკოლოგიას, სამკურნალო ფერმენტოლოგიას დასაბამი მისცა აკადემიკოსმა ვლადიმერ ასათიანმა.

დღეს ინსტიტუტი აგრძელებს თავის ტრადიციებს და აწარმოებს ჩვენი რესპუბლიკის მცენარეული და მინერალური რესურსების გამოკვლევას, მათ ფარმაკოლოგიურ შესწავლასა და ახალი სამკურნალო პრეპარატების დამზადებას.

ინსტიტუტის მიერ შემუშავებულია 60-ზე მეტი ახალი სამკურნალო პრეპარატი.

ყოველ წელიწადს, ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიემგზავრება ფარმაკო-ბოტანიკური ექსპედიციები, აგროვებენ ახალ საანალიზო მცენარეებს, ადგენენ მნიშვნელოვან მცენარეთა გავრცელების არეალებს, რესურსებს, სწავლობენ ხალხურ მედიცინას.

ინსტიტუტის ლაბორატორიებში ექსპედიციის მიერ ჩამოტანილ მცენარეებს ქიმიურად იკვლევენ. სამი ათასზე მეტი ანალიზირებული სახეობიდან თავისი ქიმიური შემადგენლობით გამოვლინებულია მრავალი უნიკალური მცენარე.

ინსტიტუტში ჩაის მრეწველობის ნარჩენებიდან შემუშავებულ იქნა კოფეინის მიღების ტექნოლოგია, რომელიც საფუძვლად დაედო ბათუმის კოფეინის ქარხნის ორგანიზაციას. ინსტიტუტის ინიციატივით ჩამოყალიბდა აგრეთვე თბილისის ქიმიო-ფარმაცევტული ქარხანა. ამ ქარხნებში ხდებოდა ინსტიტუტის მიერ მოწოდებული პრეპარატების გამოშვება. აქ დაიწყო სამედიცინო ტანინის წარმოება თრიმლისა და თუთუბოს ფოთლებიდან, კუჭ-ნაწლავის დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატის თეალბინის და ვიტამინ „P"-ს მიღება კოფეინის წარმოების ნარჩენებისაგან და სხვ.

ინსტიტუტმა ყურძნის თესლის ტანინით მდიდარი ნედლეულისაგან შეიმუშავა ენოტანინის გამოყოფის ტექნოლოგია. ენოტანინთან ერთად ამ ნედლეულიდან მიიღება მაღალხარისხოვანი ცხიმოვანი ზეთი.

ინსტიტუტი ტრადიციულად დიდ ყურადღებას უთმობს გულ-სისხლძარღვთა და ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადების საწინააღმდეგო საშუალებათა ძიებას. გულის დეკომპენსაციის დროს ორმოცი წელია გამოიყენება პრეპარატი დიგალენინეო. ასეთივე ეფექტური გულის საშუალება გახლავთ ინსტიტუტის მიერ შემუშავებული სხვა პრეპარატებიც: პერიპლოცინი, სათითურანი, სუკდიგფერი, კომბრომავალი, დიგიცილი, დიგოცელენი, დიგიტოქსინი, ლანატოზიდი და სხვ.

უკანასკნელი წლების მიღწევებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია პრეპარატი ტრიბუსპონინი, რომელიც გამოიყენება ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის, ტრიბუსპონინს ახლო მომავალში მიიღებს საბჭოთა კავშირის საaფთიაქო ქსელი.

ინსტიტუტის მიერ გამოვლინებული ზოგიერთი მცენარეული შენაერთი აღიარებულია საკავშირო სამედიცინო მრეწველობის სამინისტროს მიერ, როგორც ნედლეული სტეროიდულ-ჰორმონალური პრეპარატების სინთეზისათვის.

ინსტიტუტში შემუშავებულია მცენარეული ფერმენტის — პრეპარატ პაპაინის მიღების ტექნოლოგია.

ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში ბოლო ხანებში ფართო მასშტაბით მიმდინარეობს მცენარეული წარმოშობის ნივთიერებათა ძიება, ავთვისებიანი სიმსივნისა და რადიაციული დაზიანების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის.

ბენტონიტური თიხების მედიცინაში გამოყენებისათვის ინსტიტუტში ჩატარებულია ფუნდამენტალური ბიოფარმაცევტული გამოკვლევები; შექმნილია სხვადასხვა დანიშნულების სამკურნალო პრეპარატები: თიხა-ასკანე, ასკანკოლი, მონობენტასკოლი, ბენტოპლატი, პირობენტოლი.

ინსტიტუტში შემუშავებულია მინერალური წყლის ლუგელას კომპლექსური გადამუშავების სქემა, რაც უზრუნველყოფს კალციუმის ქლო-



ინსტიტუტის საწარმოო-ექსპერიმენტული ბაზა. წინა პლანზე ბაზის მთავარი ინჟინერი ფარმაცევტიულ მეცნიერებათა კანდიდატი ა. გოცირიძე.



ფარმაკობოტანიკის განყოფილების გამგე პროფესორი ნ. ანელი ესაუბრება განყოფილების თანამშრომლებს.



ალკალოიდების განყოფილების გამგე პროფესორი ქ. მუჯირი და განყოფილების თანამშრომლები.



ინსტიტუტის სამკურნალო მცენარეთა საცდელი მინდვრის განყოფილების გამგე, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი ა. ჯორბენაძე (წინა პლანზე) და უფროსი აგრონომი ზ. კერესელიძე ორანჟერეაში მუშაობის დროს.

**რიდის, ნატრიუმის ქლორიდის, კალიუმის კარბონატის მიღებას.**

**ფარმაკოქიმიის ინსტიტუტს მჭიდრო კონტაქტები აქვს საბჭოთა კავშირის მთელ რიგ წარმოება-დაწესებულებასთან.**

**ჩვენს პირობებში მცენარეული წარმოშობის პრეპარატების მტკიცე სამრეწველო ბაზის შექმნა (რიგ შემთხვევებში) შესაძლებელია მათი კულტივირების გზით; ამას ითვალისწინებს ინსტიტუტი და პრეპარატების დამუშავების პარალელურად თავის საცდელ ნაკვეთებზე ახდენს სამკურნალო მცენარეთა კულტივირებას.**

**ინსტიტუტს სამკურნალო მცენარეთა საცდელი მეურნეობები აქვს თბილისსა და აფხაზეთში, შირაქში. მომავალში ინსტიტუტს განზრახული აქვს აღმოსავლეთ საქართველოში სამკურნალო მცენარეთა სპეციალიზირებული საბჭოთა მეურნეობა გააშენოს.**

# ჩუქურთმის ოსტატები

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლამაზი ქალაქია! — ხშირად უთქვამთ სტუმრებს ჩვენი დედაქალაქის შესახებ.

მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქის თბილისის სილამაზეს განაპირობებს მისი წარმტაცი რელიეფი, ისტორიული ძეგლები, მდიდარი მწვანე სამოსი, ფართო მოედნები, პროსპექტები, კულტურისა და დასვენების კერები...

როგორც იტყვიან, თავიდათავი მაინც შენობებია: თბილისისათვის ესოდენ დამახასიათებელი კოხტა, მრავალფეროვანი, მდიდარი ეროვნული ხუროთმოძღვრების ტრადიციებით დამშვენებული შენობები.

საუკუნეთა მანძილზე იავარქმნილ თბილისში შემორჩენილ ისტორიულ ნაგებობებს ჩვენი წინაპრები ქმნიდნენ. ხელდალოცვილმა კირით ხუროებმა ააგეს სიონისა და ანჩისხატის ტაძრები, ცისფერი ეკლესია, მთაწმინდის სავანე, ნარიყალა, დარეჯანის საჩინო, დღევანდელი საჯარო ბიბლიოთეკის ქართული წარმტაცი ორნამენტებით დამშვენებული შენობა...

ვინ შემოგვინახა, ესტაფეტასავით ვინ მოიტანა დღემდე საჭრეთელით ქვასთან ოსტატური ბრძოლა, ქართული დახვეწილი ჩუქურთმების, ორნამენტების, ბარელიეფების, ჰორელიეფების ქვიდან ხელოვნების ნიმუშებად ქცევა?

ამ მცირე მოგონებაში ჩვენ გვინდა მხოლოდ აწ განსვენებული ორი ქართველი ჩუქურთმისმთლელი გავიხსენოთ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აუტანელი სიდუხჭირე ხშირად აიძულებდა რაჭველ კაცს მშობლიური კუთხიდან აყრილიყო და საშოვარზე წასულს რაიმე სარფიანი საქმისთვის მოეკიდა ხელი.

ვლადიმერ გიორგობიანი და თომა მაისაშვილი 15-16 წლისანი იყვნენ, როცა რაჭის მიყრუებული მთებიდან თბილისში ჩამოვიდნენ. მათ არც ქართული პურის ცხობა დაუწყიათ, არც დურგლობა, არც რაიმე იოლი სარფიანი საქმისთვის მოუკიდიათ ხელი.

ნიკორწმინდის კუთხიდან წამოფრენილ ლაღ ბიჭებს თავიდანვე მარმარილოსთან და გრანიტთან ბრძოლა სურდათ, თავიდანვე ჩუქურთმისა და საჭრეთელისაკენ გაურბოდათ თვალი.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ეჭირათ ხელში ეს საჭრეთელი თომა მაისაშვილსა და ვლადიმერ გიორგობიანს.

მუშაობდნენ დღე და ღამე, ქარსა და, ხშირად, წვიმაშიც. საქმე მოითხოვდა — მთავრობის სასახლის ახალი შენობა, ფუნიკულიორის ზედასადგურის, ანდა რუსთაველის თეატრის აღდგენილი შენობა დათქმულ ვადაში უნდა ჩამდგარიყო მწყობრში და — შეუსვენებლად მუშაობდნენ.

მნახველის თვალს იტაცებს ხელმადლიანი ქართველი ქვისმთლელების, მართლაც რომ ჩუქურთმის ჭრის ოსტატების ვლადიმერ გიორგობიანისა და თომა მაისაშვილის მეშახტეთა ადმინისტრაციული სახლის შენობაზე ამოჭრილი ჩუქურთმები, რუსთაველის ძეგლთან გამოკვეთილი ლომის თავები, პირიდან რომ წყალი გადმოსჩქეფთ...

ქართველმა ოსტატებმა მრავალი მონუმენტური შენობის მორთვა-მოკაზმვაშიც მიიღეს მონაწილეობა, პიონერთა სასახლის რეკონსტრუქციაშიც, რუსთაველის ძეგლის კვარცხლბეკის გამოკვეთაშიც...

ორმოცდაათი წლის მანძილზე ჩვენს დედაქალაქში არ აშენებულა თითქმის არც ერთი ღირსშესანიშნავი ნაგებობა, რომ თავიანთი წვლილი არ შეეტანოთ თომა მაისაშვილს და ვლადიმერ გიორგობიანს.

სხვადასხვა სამუშაოების ჩასატარებლად მათ ხშირად იწვევდნენ ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, ბაქოში, ერევანში...

და დღეს, როცა მადლიანი ხელით დამშვენებულ შენობებს ჩაუვლით, გაგახსენდებათ მათი მომჩუქურთმებელი ოსტატები.

ელიზბარ მათითაშვილი



# ლექსები

## მოცარტის არია

მე სულში მწვდებოდა მოცარტის არია...
იყო გაზაფხული და იყო დილა.
თურმე ეს სიცოცხლე რაოდენ კარგია!
თურმე ქვეყანაზე რაოდენ თბილა!

დღეს ჩემს სულს უხმობდა მოცარტის არია...
კვირტები ხეებზე იწყებდნენ გაშლას.
ვინ თქვა რომ წარსული იყო და მკვდარია,
ვინ თქვა რომ ცრემლები ტრფიალის გაშრა?!

დღეს ჩემ გულს ატკბობდა მოცარტის არია...
ნეტავ ეს ჰანგი, ეს ლოცვა რამ შობა?!
ვაი, ეს დღეები რაოდენ ჩქარია!
ვაი, სად გაქრა ცისფერი ბავშვობა?!

დღეს ჩემ გულს სწვდებოდა მოცარტის გალობა...
ბუჩქებზე, ხეებზე მზე ხსნიდა კვირტებს.
თურმე რაოდენ გვაჩუქეს წყალობა!
ამ ღვთიურ წყალობას რა გული იტევს?!

კოლაუ ნადირაძე

## ფშაფშე

ფიქრები გზებმა დაკეცა,
გზა სიარულმა დალია.
ღამე მგელივით დაგვეცა,
როგორც კი გავცდით დარიალს.
აქ ვრჩებით, აქვე ვბარგდებით,
ძახილით, ყეფით, ბღავილით.
ღამეში თეთრი ბატკნები
ღმერთმანი, გვანან ყვავილებს.
მოლზე გაშლილი ნაბდები
თითქოს ფრთებია არწივის...
ხან აყმუვლდება ნადირი,
ხან ნადირივით ქარცივი.
ხუმრობითა და ნაფაზით
ვფანტავთ ძილს თვალზე მოწოლილს,
მთელ ღამეს, როგორც ნაგაზი,
ხელებს გვილოკავს კოცონი.
ფიცხი გარმონის მხარდამხარ
ისმის ფანდურის ჟღარუნიც.
სიტყვას აიღებს ხანდახან
ნაწყენი ჟიპიტაური.
ფიქრი ოჯახში ჩასული
თვალებს ძილს მაინც მოპარავს.
და მთვარე ფარას გარს უვლის
როგორც ქოფაკი ბომბორა.

## მთაო, გადმიშვი

მთაო, გახსნილი ცა მინდა,
მთაო, გადმიშვი, გადმიშვი.
თორემ სიცოცხლე წავიდა
სულ წადილსა და ქადილში.

გადამატარე წარაფებს,
ღრუბელს, ქარსა და ქარაფებს.
შენი ფანდურით — არაგვით
ერთხელ მეც მალაპარაკე.

მთაო, დამიდექ თავდებად,
მომეც [illegible]
თორემ სიცოცხლე თავდება
ახე-ცდასა და ლოდინში.

## ლემადის ქარი

ერთს ისეთს წამოუბერავს
კლდეს აუტყდება ქავილი.
წამოიშლება ღრუბელი,
ქმარყოფამოშლილ ქალივით.
ჯერ არაგვს ააქარცივებს,
კოხს მარილივით დაუყრის,
მერე მოდგება ქარწვიმით
და თუ ბიჭი ხარ, დაუხვდი.

* * *

მთვარე თხუთმეტი ღამისა
ცას ამშვენებდა ხალივით.
ისმოდა წამიწამისად
ორი არაგვის ბღავილი.
მერე ცისკარი გაიხსნა
ლამაზ დიაცის თვალივით.
მყინვარმა გულზე დაისვა
მზე —
ცის წითელი ყვავილი.

ნოდარ ჯალაღონია

## შემოდგომის მოზაიკა

### აკიდო

ნატურმორტს გამოექცა
ერთი აკიდო,
ფერთა სიუხვე
ჭიგოზე აზიდა.

ნატურმორტს გამოექცა
ერთი აკიდო,
უბადლო მხატვრის
ხელთუქმნელ ვაზიდან.
გალერეიის ცივი სუნთქვა,
რომ არ ყოფნიდა,
სწორედ იმიტომ გამოიქცა
ნატურმორტიდან.

ერთი მითხარით:
აბა, როგორ უნდა გაყიდო,
ეს დალოცვილი
ქარვისფერი განძი-აკიდო
მონატრებული არე-მარეს,
ქართა, ნიავთა,
თაიგულივით საპატარძლოს
უნდა მიართვა.

### მინდია

მე ხმელი ფიჩხის
სულ პატარა ცეცხლი მინთია.
ტვრის სიღრმიდან
მითვალთვალებს ბრძენი მინდია.
ო, ღმერთო ჩემო,
კრინტის დაძვრას როგორ გავბედავ!
მე მხედავს იგი,
მას აქედან ვერაფრით ვხედავ.

დამშეულმა და
გადაღლილმა წაბლის კაკალი
ღველფში შევაგდე,
იხრუკება და თან კანკალებს,
ცეცხლის ენები
მაღლა მიდიან,
იქ, რა თქმა უნდა.
ლტოლვა დიდია.
მე სულ პატარა
ცეცხლი მინთია
და წაბლის ცოდვით
იწვის მინდია.

### სურა

თვალისჩინივით ვუვლი დღემდე
ჩვენს ზიარ სურას.
სიხარული და სინანული
ერთად ახურავს.

შიგ უკვდავების წყაროს წვეთი
შრება უშენოდ.
შენ ძალგიძს მხოლოდ, ერთადერთო,
რამე უშველო.

ხანდიხან სურაც მირაჟივით
უკვალოდ ქრება
და მრჩება მხოლოდ მოგონება
და ჩაფიქრება...

ლელვის ფოთოლზე მარტო ვხატავთ
ზმანება — სურათს,
სიყრმის ზმანებას,
მე და ჩვენი ზიარი სურა.

დიმიტრი გიგიბერია

## კი არ ბერდები, ჭაბუკი ხდები

კოლაუ ნადირაძეს

მოხუცი გკადრო, დამსჯიან მთები...
თუნდაც ოთხმოცის, რა მოხუცია!
კი არ ბერდები, ჭაბუკი ხდები,
რაიც შენსავე ლექსს მოუცია.

ვიღაცას ადრეც კი უნდა ეთქვა,
და თუკი ითქვა, უნდა გაეგოთ...
კეისარს მაინც რაღაცა შეხვდა,
პოეტს პოეტის ხვედრი არ ერგო.

წიწამურის ტყე... ავი ლანდები...
ჩასაფრებული ურჩხული სცილა...
გმინვა და ბათქი.. მწუხრის
სანთლები...
და მამულისთვის გაწნული სილა.

და თუ კი ვიცით, რაა სირცხვილი,
რად ვდოთ ლაგამი ჩვენს გამალებას,
როცა ერთია ქვეყნად სიკვდილი,
როგორც ერთია ეს დაბადებაც.

არადა მაშინ, უთქმელ დროებას,
ნუთუ ვერვინ თქვა ისეთი რამე,
რომ გამოჰგლეჯდა უღმერთოებას,
საშინელებით დაწყევლილ ღამეს.

ეს რატომ გკითხეთ, რა არ გინახავთ,
ითხოვს დრო-ჟამის გარდამავლობა...
რადგან ჩვენ კითხვას ვუსვამთ
წინაპარს,
ჩვენც პასუხს მოგვთხოვს
შთამომავლობა.

რაც იყო, იყო... დრომ იუარა,
სანუგეშებლად ერთი რამ დარჩეს,
ხან ნაწილობრივ, მთლად სულ თუ
არა,
ხანდახან მზესაც აბნელებს მთვარე.
მთვარის სიდიდე ვინღა გაიგოს
თუ ნისლებშია ზეცა ყოველი?!
თქვენ ჭარბათა გაქვთ, ცოტა არ
იყოს,
უბრალოება განუყოფელი.

„ცისფერყანწელთა“ იმ ძველ იარებს
დღეს დასდგომიათ დაცხრომის ხანა,
თუ ქარიშხლებმა გადაიარეს,
მაშინ ამ სულში რა ბუდობს განა?

ამ დღეს და ღამეს ისეთი რა სჭირთ,
რომ ვერ უცვნიათ ერთურთის სახე,
შორიდან ვჭვრეტდი ღმერთების
თათბირს,
თანამედროვე ბევრი ვერ ვნახე.

იმდენი შერჩა საუფლოს მართლაც,
საუკუნეებს რომ არ ებევრა,
თუ დარჩა ლექსი უთქმელი სადღაც,
წარღვნას რა უნდა? სულის შებერვა!

ზოგნი იტყვიან მიეთმოეთად,
რა დაუკარგავს, რა უპოვნია,
იყო პოეტი, დარჩა პოეტად,
მას სხვა სიცოცხლით არ
უცოცხლია.

მირანგულ ავსაჯანიშვილი

# ასმერვე კილომეტრზე



როლანდ ჯალაღანია

## ნამდვილი ამბავი

შემთხვევები, რომლებიც მეოცე საუკუნის სამოციან წლებში ხდებოდა საქართველოში, ამჟამად ბევრს შეიძლება გადაჭარბებული და დაუჯერებელიც კი მოეჩვენოს. მაგალითად, დღეს ტყეში გაჭრილი შეიარაღებული ყაჩაღის ხსენება მხოლოდ ღიმილს თუ გამოიწვევს, მაგრამ როცა წინა წლებში გამეფებულმა ნეგატივიზმმა და თავაშვებულობის ატმოსფერომ რესპუბლიკის ცხოვრების თითქმის ყველა რეგიონში შეაღწია, მრავალი მიუღებელი ფაქტის წინაშე დავდექით, ხოლო ქართველ ჩეკისტებს ბევრი ოფლისღვრა მოუწიათ, ვიდრე გააუვნებელყოფდნენ დამნაშავეებს და სააშკარაოზე გამოიტანდნენ მათ შავბნელ საქმიანობას.

მოთხრობის გმირმა, ახალგაზრდა კომუნისტმა და ახალბედა ჩეკისტმა მიშა ხელაიამ ცხოვრებაში კომკავშირიდან გაიკაფა გზა. მისი არჩევანი — ჩეკისტი გამხდარიყო, შემთხვევითი როდია. ენერგიულ ყმაწვილს არ შეეძლო მშვიდად ეცხოვრა. სწორედ ამიტომ დაუპირისპირდა იგი თავზე ხელაღებულ ბანდიტს წიფურიძეს, რომლის სინდისზე იყო უდანაშაულო ადამიანთა დაღვრილი სისხლი და ცამეტი წელი ტყეში თარეში.

ჩეკისტები ცამეტი წლის მანძილზე რეციდივისტს კვალდაკვალ დასდევდნენ. ერთხელ მოიმწყვდიეს კიდეც, მაგრამ დაინდეს ბავშვებს ამოფარებული წიფურიძე, მან კი ახალგაზრდა მილიციელი იმსხვერპლა და ტყეს მისცა თავი.

ჩეკისტებისთვის მალე ცნობილი გახდა, რომ ბანდიტს მოწყინდა ტყეში წანწალი და გადაწყვიტა, გადახვეწილიყო. ამისათვის მას ფული სჭირდებოდა და მორიგ საკბილოს დაეძებდა.

გამოცდილმა ჩეკისტმა, პოლკოვნიკმა ნეფარიშვილმა გადაწყვიტა წიფურიძისათვის საკუთარი „ლეგენდა“ შეეპარებინა. ასე გახდა სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს ინსპექტორი მიშა ხელაია კოლმეურნეობის თავზე ხელაღებული მძღოლი, რომელსაც რაიონის ცენტრიდან სოფელში მოლარე უნდა წაეყვანა და კომპანიონს ეძებდა მის გასაძარცვად.

გზისპირა ბოძები შურდულივით მიჰქროდნენ და სადღაც უკან იკარგებოდნენ. მიშა ნერვიულად აბოლებდა სიგარეტს. იგი რამდენიმე საათში უნდა შეხვედროდა წიფურიძეს, კაცს, რომელმაც თავისი ბოროტი ხასიათითა და მოუხელთებლობით სამართლიანად დაიმსახურა მეტსახელად „გიურზა“.

დათქმულ ადგილამდე ოთხი საათის გზაა. ეს დრო სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ „გიურზას“ შესახებ ყველაფერი სისტემაში მოიყვანო და გონებაში სათანადოდ დაალაგო. რადგან ფიქრის დრო არ რჩება, იქ მხოლოდ მოქმედებაა საჭირო. მხოლოდ ეს აზრები უტრიალებდა ინსპექტორს თავში. იგი გრძნობდა, რომ მძაფრ სიტუაციებში ჯერ კიდევ ვერ იყო საკუთარ თავში დარწმუნებული. ახლა რომ მისთვის დაევალებინათ რამდენიმე ასეული კომკავშირელის გამოყვანა იმ ქარხნის შაბათობაზე, სადაც ამ რამდენიმე ხნის წინ კომკავშირის კომიტეტის მდივნად მუშაობდა, თავს ისე იგრძნობდა, როგორც თევზი წყალში. მაგრამ სად ქარხანა და სად რეციდივისტი, რომელიც ტყვიას უმალ გამოიმეტებს, ვიდრე კეთილ სიტყვას. იქ, ქარხანაში, მიშას კადრის მუშებიც პატივისცემით ეპყრობოდნენ, ხოლო ახალგაზრდობა მასში თავის წინამძღოლს ხედავდა.

სულ სხვა საქმეა სისხლის სამართლის სამძებრო სამსახური, თუმცა მიშა აქ შემთხვევით არ მოსულა. მაშინაც კი, ოთხი ათეული წლის წინათ, ოციანი წლების გარიჟრაჟზე, სწორედ მასავით დაუდუღარი ყმაწვილები მოდიოდნენ საგანგებო კომისიაში. მოდიოდნენ იმიტომ, რომ სამშობლოს ჰაერზე მეტად სჭირდებოდა კანონიერების, სამართლიანობისა და სიკეთისათვის მებრძოლი ახალგაზრდა კადრები. მოდიოდნენ და იარაღის წესიერად შესწავლასაც კი ვერ ასწრებდნენ, ისე ეშვებოდნენ ბრძოლის ქარცეცხლში. მიშაც მათებურად იყო ნაჭედი. კომკავშირმა თვალი აუხილა მას და დაანახა ის ხარვეზები, რაზეც მაშინ თვალს ხუჭავდნენ. როგორც ამბობენ, წილი ნაყარი იყო, მეორე დღეს მიშას შინაგან საქმეთა ორგანოებში სამუშაოდ გადასვლის საკითხს ქარხნის პარტიული კომიტეტის სხდომაზე იხილავდნენ.

...მიშამ რამდენიმე ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ყველა ის, მისივე თქმით, „ადგილობრივი მნიშვნელობისა“ იყო. ეს კი მას საშუალებას არ აძლევდა საკუთარ თავს პროფესიული პატივისცემით მოპყრობოდა. ამიტომ აიძულებდა მიშა თავს „მთავარი საქმისათვის“ მომზადებულიყო, რომლის აუცილებლობაშიც ახალგაზრდა ჩეკისტს ეჭვი არ ეპარებოდა. და აი, სატვირთო მანქანის საჭესთან მჯდარი მიშა ფიქრობდა, თუ რომელი კატეგორიის „საქმისათვის“ მიეკუთვნებინა „გიურზასთან“ მისი აუდიენცია.

მოულოდნელი არჩევანი! აი, რა არ ასვენებდა მიშას. იგი ვერ მიხვდა, თუ რატომ მაინცდამაინც მას მიანდეს წიფურიძესთან ორთაბრძოლა. რა არ იფიქრა, რომელ ვერსიას არ მოეშვიდა, მაგრამ, როცა დამაჯერებელს ვერაფერს მიაგნო, საერთოდ დაანება ამაზე ფიქრს თავი.

თითქმის ასეთივე ფიქრი აწვალებდა მაიორ ფერაძეს, რომელიც ჩასაფრების ადგილს ამზადებდა.

მხოლოდ ერთადერთმა ადამიანმა, სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს უფროსმა პოლკოვნიკმა ნეფარიშვილმა იცოდა, თუ რატომ მიანდო ეს დავალება მიშა ხელაიას და არა სხვას.

ორგანოებში ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე მან საკმაოდ კარგად შეისწავლა დამნაშავის ფსიქოლოგია და მისი სოციალური არსი. გამონაკლისს ამ შემთხვევაში არც წიფურიძე წარმოადგენდა.

მონაცემები, რომლებიც ნეფარიშვილს წიფურიძეზე გააჩნდა, კიდევ ერთხელ არწმუნებდა იმაში, რომ ისეთი ბანდიტი, როგორიც წიფურიძეა, უნდა აიყვანო არა სროლითა და დავიდარაბით, არამედ ორთაბრძოლით — ერთი-ერთზე. სწორედ მიშა ხელაია იყო ის ღირსეული პარტნიორი, რომელზედაც პოლკოვნიკმა არჩევანი შეაჩერა. ჯერ ერთი, ახალგაზრდა ჩეკისტის ფიზიკური მონაცემები: პირქუში გარეგნობა, და რაც მთავარია, მიშას ყველაზე ღირსეული თვისება, რომელსაც ნებისმიერი ჩეკისტი ინატრებდა — გარდასახვის ვირტუოზული უნარი, აიძულებდა ნეფარიშვილს არჩევანი ხელაიაზე შეეჩერებინა. პრაქტიკულ ოპერაციებში კი ლეიტენანტმა ყველა ზემოჩამოთვლილი მონაცემი გამოავლინა. ერთი სიტყვით, როგორც თვით ნეფარიშვილი ამბობდა, მიშა ხელაია ჩეკისტად იყო დაბადებული. ნეფარიშვილს ამ დროს ხშირად უყვარდა ნაცნობი ფრაზის გამოყენება: „ჩეკისტს უნდა ჰქონდეს ცხელი გული, ცივი გონება და სუფთა ხელები“. ძერჟინსკის ეს სიტყვები სწორედ მიშაზეა ზედგამოჭრილი, დასძენდა ხოლმე იგი.

ცნობამ იმის შესახებ, რომ „გიურზამ“ გადაწყვიტა სამუდამოდ გაშორდეს მშობლიურ ადგილებს, სადაც მან ამდენი უბედურება დაატრიალა, კიდევ ერთხელ დაადასტურა პოლკოვნიკის ვარაუდის სისწორე. მანვე მოიგონა „ლეგენდა“. რომელიც საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურებოდა ბანდიტისათვის და რომელიც მომაკვდინებელ იარაღად უნდა გადაქცეულიყო ახალგაზრდა ჩეკისტის ხელში. დამნაშავემ გადაწყვიტა ყოველგვარი კავშირი გაწყვიტოს წარსულთან, მხოლოდ ახალი დანაშაულის ჩადენის ხარჯზე; მას სხვა გზა არ აქვს, ვინაიდან ფული არ გააჩნია. და მიშამ ყველა ამ კოზირს საკუთარ ხელში უნდა მოუყაროს თავი, ოსტატურად გაითამაშოს ამ ფაქტებით.

...მთის კოტოხიდან შუქი აკიაფდა. მიშამ საათს დახედა —შვიდს ათი წუთი აკლდა. უკვე კარგად დაღამებულიყო. მან მანქანა დათქმული

ადგილიდან ასი მეტრის დაშორებით გააჩერა და შუქი გამორთო. ღია ფანჯარაში ცივი ქარი შემოიჭრა. მიშას გააჟრჟოლა და ცოტა ხნით კიდევ შეყოვნდა კაბინაში. ზუსტად შვიდ საათზე იგი მანქანიდან გადმოვიდა.

დატკეპნილ მიწაზე ნაბიჯების ხმა მკაფიოდ ისმოდა. იგი ცოტა ხანს შეჩერდა და სმენად გადაიქცა. დაბლა, ხრამიდან, მდინარის შხუილი მოისმოდა. მას ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს წყურვილი ახრჩობდა. მარჯვნივ სიბნელეში ლოდის სილუეტი დალანდა. „ეს ადგილია“, — გაიფიქრა და ქვასთან შეჩერდა. მოკავშირე, რომელიც მას „გიურზას“ შეახვედრებდა, საცაა უნდა გამოჩენილიყო. მღელვარების დასაოკებლად მიშამ „პამირი“ ამოიღო და სიგარეტს მოუკიდა. გაახსენდა, თუ რა გულიანად იცინოდა მაიორი ფერაძე, როცა წამოსვლის წინ მიშამ „ფილიპ-მორისის“ ბლოკი გახსნა და საგზაოდ რამდენიმე კოლოფი სიგარეტი ამოიღო. მაიორმა საჩქაროდ ჩამოართვა მიშას უცხოური სიგარეტები და ჯიბეები „პამირით“ აუვსო. მას ისიც კი გაეთვალისწინებინა, კოლმეურნეობის მძღოლის ხელში უცხოური სიგარეტი ეჭვს რომ გამოიწვევდა.

უცებ მიშა ძლიერმა შუქმა დააბრმავა. იგი მოულოდნელობისაგან ქვას მიეყრდნო.

— ხელი არ გაანძრიო! რა გვარი ხარ?! სახელი? სად ცხოვრობ? აქ როგორ მოხვდი? ვისთან მიდიხარ? ვის იცნობ?! — მკაცრად დააყარა შეკითხვები ვიღაც უცნობმა.

მიშამ ვინაობა დაუსახელა. „ლეგენდის“ მიხედვით იგი თავისი გვარით და სახელით მოქმედებდა და საპასუხოდ დიდი დრო არ დასჭირდა.

— პირველი გაცნობისათვის ბევრი შეკითხვა ხომ არ არის?! — რაც შეიძლება კეთილმოსურნულად ჰკითხა მიშამ უცნობს, რომელიც ფანრის შუქს არ აშორებდა მას.

— მეტად გაბედული ყოფილხარ, ყმაწვილო, და საკმაოდ სულელიც... თუმცა როგორ შეიძლება უწოდო ადამიანს სულელი, თუკი იგი ბრძანებას ასრულებს. ასრულებ თუ არა ბრძანებას?! — ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქვა უცნობმა.

მიშა უცებ ვერ გაერკვა სიტუაციაში — მეკავშირესთან შეხვედრის გეგმაში ასეთი რამ გათვალისწინებული არ ყოფილა. აზრები აერია.

„ძალზე უცნაური მეკავშირე შემხვდა, — გაიფიქრა მან, — შეიძლება სხვა ვგონივარ? შეიძლება მეკავშირე არ არის? იქნებ, ვიდრე გზაში ვიყავი, რაიმე შეიცვალა?!“

მიშა საკუთარ თავზე ბრაზობდა, ასე ცოტა რამ რომ იცოდა მეკავშირის შესახებ.

— შენ თვითონ ვინა ხარ?! — ჯიქურ შეეკითხა იგი. — არ მიცნობ და არ გიცნობ. ალბათ, ყველა გაიცინებს, მე, მიშა ხელაია ,ხელაწეული რომ ვდგევარ შენს წინაშე!.

ფანარი ჩაქრა, მიშა წამით დაბრმავდა. მან მაშინვე იგრძნო ყელზე მიბჯენილი ლითონის სიცივე. „შაშხანაა“, — შეუცდომლად განსაზღვრა. უცნობმა წელზე მოუფათურა ხელი. მიშას იარაღი მანქანის სამალავიდან არ გამოუღია და ინანა კიდეც; მაშინ ასე არ გაათავხედებდა ამ ღამის მომხდურს.

„იქნებ „გიურზაა“? — მიშას თითქოს გული შეუჩერდა, შუბლზე ოფლმა დაასხა. ადრე მაინც მიმხვდარიყო. უცაბედმა ეჭვმა კვლავ გადაუწურა გული, მაგრამ შებოჭა საკუთარი თავი. სიმშვიდე უპირველეს ყოვლისა, ყველაფერი წამიერად უნდა გააანალიზოს. რაღა მაინცდამაინც „გიურზა“ იქნება? მეკავშირე რომ ჩავარდნილიყო, ახლა მიშა ცოცხლებში აღარ იქნებოდა.

„თუ მეკავშირეა, მაშინ თავი სულელურად უჭირავს. ხომ იცის, რომ ჩემს მეტი აქ არავინ მოვიდოდა. მაშ. რა გაუთავებელი შემოწმება მოუნდა? რა მენაღვლება, ამოწმოს. ეჰ, ყველა საკუთარ ტყავს უფრთხილდება“, — გაიფიქრა მან.

უცნობი მიშას ჯიბეებში უფათურებდა ხელს. მართალია სიბნელეს შეაჩვია თვალი, მაგრამ უცნობის სახის გარჩევა, მაინც ვერ შეძლო. მიშა მხოლოდ მის ცხელ სუნთქვას გრძნობდა; იგრძნო, რომ მომხვდური დაწყნარდა და თითქოს გამხიარულდა კიდეც; დრო უკვე მიშას წისქვილზე ასხამდა წყალს.

— ვისთან მიდიხარ?!

— ამხანაგთან. გოგი კაიშაურთან! — მიუგო მიშამ განაწყენებული კაცის ხმით: ჩეკისტი დარწმუნებული იყო, რომ სოფელში ასეთი ვინმე არ ცხოვრობდა. მეკავშირის ვინაობა კი მან არ იცოდა.

— კეთილი! — მშვიდად წარმოთქვა უცნობმა, — მანქანასთან მიდი, იქ დამელოდე... მე შენ ამხანაგს მოვიყვან!

უცნობი ისევე შეუმჩნევლად გაქრა, როგორც გაჩნდა. მიშას გულზე მოეშვა, ესე იგი, მეკავშირე ყოფილა. შიშს დიდი თვალები აქვს! თავი დაიზლვია, ამიტომ შეხვდა მიშას ასე „სტუმართმოყვრულად“. იგრძნო, თუ როგორ დაუმძიმდა ფეხები, თითქოს ტყვიის ფეხსაცმელი ეცვა; ამ დაძაბულობამ ახლა იჩინა თავი.

ლეიტენანტი შეტრიალდა და სწრაფი ნაბიჯით შორიახლოს გაჩერებული მანქანისაკენ წავიდა. „კარგი დასაწყისია. ნეტავი, როგორია „გიურზა?“ შეიძლება, ისიც სადმე შორიახლოსაა ჩასაფრებული... ასეც იქნება, „გიურზა“ ადვილად არავის ენდობა ... არც ერთ ჩეკისტს ბანდიტი ასე ახლოს არ უნახავს, როგორც ახლა მას ვნახავ, გამოველაპარაკები. საშიშია, მაგრამ ძალზე საინტერესო...“ — გამოუტყდა იგი საკუთარ თავს.

„გიურზაზე“ თითქმის არაფერი იყო ცნობილი. მიშას ოცი წლის წინათ გადაღებული ბანდიტის ფოტოსურათი გაახსენდა. აგერ უკვე ცამეტი წელია ბანდიტი თავბედს აწყევლინებს ყველას და მასზე ძალზე ძუნწი მონაცემი გააჩნდათ. მხოლოდ ერთი ცოცხლად გადარჩენილი ჩეკისტი იმათგან, რომლებიც შარშან შემოდგომაზე სამი დღის განმავლობაში მისდევდნენ „გიურზას“, ამტკიცებდა, რომ წიფურიძეს თოვლივით თეთრი თმა და კუპრივით შავი ულვაშები აქვს და მას განუყრელად აცვია მწვანე სვიტრი.

მიშამ რამდენჯერმე შემოუარა მანქანას. წინა საბურავს ფეხი შემოჰკრა, თითქოს ამოწმებდა, ხომ არ დაშვებულაო. მთიდან მონაბერი სიცივე უფრო საგრძნობი გახდა. მალე მანქანის გარშემო სიარული მოწყინდა. კაბინის განათება ჩართო, კაპოტი ახსნა და ძრავაში ხელები ააფათურა.

დაახლოებით თხუთმეტი-ოცი წუთი გავიდა. ლოდის მხრიდან ფეხის ხმა მოისმა — ვიღაც მარტო მოდიოდა. „მარტო რატომ მოდის“, — გაიფიქრა ლეიტენანტმა. უცნობის ლანდი მანქანას მოადგა.

— აქ რას აკეთებ?! — მოესმა ნაცნობი ხმა.

— უკან დიდი გზა მაქვს. ყველაფერი უნდა შევამოწმო! — უდარდელად მიუგო მიშამ, — შენ რა, ისევ მარტო მოხვედი?!

— მე ყოველთვის მარტო დავდივარ! — მიუგო უცნობმა.

მიშა სხარტად შემოტრიალდა. უცნობი დინჯი, გამოზომილი ნაბიჯით უახლოვდებოდა მანქანას. კაპოტის ქვეშ მოთავსებული პატარა ნათურის შუქზე ჯერ მისი ჩექმები და გალიფე გამოჩნდა, შემდეგ ხელში ჩაბღუჯული შაშხანა, უცნობი პირისპირ მოადგა მიშას. ნათურის შუქზე ახლა ყავისფერი ჯუბა გამოჩნდა, ხოლო შიგნით — მწვანე სვიტრი. ლეიტენანტს თვალი მოსტაცა კუპრივით შავმა წვერ-ულვაშმა და თოვლივით თეთრმა ჭაღარამ.

ნუთუ მიშამ თვით „გიურზა“ მიიღო მეკავშირედ? რა დასანანი შეცდომაა. უცებ უნდა მიხვედრილიყო უცნობის ასეთ ახირებულ საქციელს. ახლა უკვე საეჭვო აღარაფერია.

მიშა ოდნავ აფორიაქდა მღელვარებისაგან. ეს რომ დაემალა, იგი უფრო ღრმად ჩაძვრა მანქანის ძრავაში და იმწამსვე ლულის შეხება იგრძნო.

— შენ რა, მემდური, თუ ლაპარაკი არ გსურს ჩემთან? აბა, მანქანას მოშორდი, მე თვითონ შევამოწმებ! — ბანდიტმა მოურიდებლად უბიძგა მიშას ლულით.

„გიურზას“ ხელის მოძრაობამ და ძრავაში მისმა უმიზნო ჩაშტერებამ მიშა დაარწმუნა, რომ იგი სრულებით ვერ ერკვეოდა მანქანაში. „რაიმე არ გააფუჭოს ან მავთულები არ დაწყვიტოს, — გაიფიქრა და წამსვე დაეკითხა საკუთარ თავს — კი მაგრამ, რატომ უნდა ვითმენდე ამდენ შეურაცხყოფას ვიღაც უცნობისაგან... ხომ შემეძლო არ მეცნო „გიურზა“?! ჩემთვის იგი ვიღაც უზრდელი დამხვდურია და მეტი არავინ... არ უნდა მეშინოდეს მისი... ისიც კი არ ვიცი, თუ ვინაა... „გიურზამ“ თავისი თავი თვითონ უნდა გასცეს“.

ამასობაში ბანდიტი მანქანის კაბინას ჩხრეკავდა. საზურგე ამოსწია და შიგ ხელები ააფათურა. აქსელერატორის მხარეზე დაფენილი რეზინის საფენის წამოწევა, სადაც რევოლვერი იდო, აზრად არ მოსვლია. კაბინის საფეხურიდან მან ძარაშიც ჩაიხედა, დაბლა ჩამოხტა და მყისვე მიწაზე განერთხო. მიშა ისეთი ილეთით შეხვდა მძარცველს, რომ თვით პროფესიონალ მოკრივესაც კი შეშურდებოდა.

— შენ რა, სიცოცხლე ხომ არ მოგძულებია?! რა ჩხრეკას იწყებ, იქნებ მოგზავნილი ხარ... შენი ბედი, რომ იარაღი არა მაქვს! — იყვირა მიშამ და შეუმჩნევლად სამალავიდან იარაღი ამოიღო, ცერით დამცველი ჩამოსწია. მას იმედი ჰქონდა, რომ ასეთი ძლიერი დარტყმის შემდეგ ბანდიტი კარგა ხანს ვერ მოვიდოდა გონს. მაგრამ იმავე წამს მანქანის ქვემოდან სიცილი მოესმა. მიშამ საჩქაროდ გაირჭო იარაღი ქამარში და მანქანის ქვეშ შეიხედა.

„გიურზა“ ზურგზე იწვა, გულიანად იცინოდა და შაშხანის ლულას მიშას არ აშორებდა. იგი თვალის დახამხამებაში წამოხტა და მიშასთამ გაჩნდა.

— ასეთ ვაჟკაცს მე დიდი ხანია ვეძებ! — დაუფარავი სიმპათიით წარმოთქვა მან.

„მართლაც „გიურზა“ ყოფილა“, — ამის გაფიქრებაღა მოასწრო მიშამ.

— არ ვიცი შენ ვის ეძებ. მე არავის დავეძებ, ჩემთვის ვარ და არც თავხედობას ვაპატიებ ვინმეს! — მიშამ საათს დახედა. ათი სრულდებოდა. საჭიროა საუბრის გაჭიანურება. ღამის სამ საათზე ჩასაფრების ადგილზე ყველაფერი მზად იქნება. ასმერვე კილომეტრზე ადრე ჩასვლა შეუძლებელია. მიშამ ზურგი შეაქცია ბანდიტს.

— მე კი ვიცი, რომ დაეძებ, — ეშმაკურად ჩაილაპარაკა ბანდიტმა, და როცა მიშამ მის სიტყვებს არავითარი მნიშვნელობა არ მისცა, დაუმატა, — ნუ ცხარობ. მე ის კაცი ვარ, შენ და შენს მოლარეს რომ უნდა დაგიხვდეთ გზაში!

„გიურზა“! ბანდიტმა თავისი თავი დაასახელა. სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორმა მიშა ხელაიამ საკუთარ თავს მიულოცა ეს გამარჯვება.

— ვიღაცაში გეშლები, არავითარი მოლარე მე არ ვიცი !— ჩაილაპარაკა მან.

„გიურზამ“ სიცილით დაჰკრა მიშას მხარზე ხელი, რაც იმას ნიშნავდა, რომ დროა თვალთმაქცობას თავი დაანებოო.

— როგორც ხედავ, ქალის გარეშეც იოლად გამოვედით! — თქვა მან.

მიშამ ყურები ცქვიტა. „რა შუაშია აქ ქალი?“ ისინი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ და ბანდიტის შაშხანა მისკენ იყო მიმართული.

— რა ქალი აგიტყდა. გაარშიყება ხომ არ მოგსურვებია? — უდარდელად მიუგო მიშამ და გადაიხარხარა. მიშას უნდოდა ამ „მორიგი ფრაზით“ საუბარი უფრო გაეღრმავებინა.

(გაგრძელება იქნება)



ი. რომანენკო.



გ. გრეჩკო.



ვ. ჯანიბეკოვი.



ო. მაკაროვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ა. გუბარევი.



ვ. რემეკი.

96 დღის განმავლობაში მღელვარებითა და სიამაყის გრძნობით ვადევნებდით თვალყურს იური რომანენკოსა და გიორგი გრეჩკოს, რომლებიც ვაჟკაცური შემართებით მუშაობდნენ „სალუტ-6“ ორბიტულ სამეცნიერო სადგურში.

ამხანაგებმა ი. ვ. რომანენკომ და გ. მ. გრეჩკომ 1977 წლის 10 დეკემბერს შეუდგნენ ფრენას „სოიუზ-26“ ხომალდით. „სალუტ-6“ ორბიტულ სადგურთან ხომალდის შეპირაპირების შემდეგ ეკიპაჟი სამეცნიერო-კვლევითს კომპლექსში შეუდგა სამუშაოთა დაგეგმილი პროგრამის შესრულებას.

20 დეკემბერს ეკიპაჟი ღია კოსმოსში გავიდა. კოსმონავტებმა შეამოწმეს კონსტრუქციული გადაწყვეტები რომლებიც უზრუნველყოფენ სადგურის გარედათვალიერებასა და სადგურის გარეთ პროფილაქტიკურ სამუშაოებს.

1978 წლის 10 იანვრიდან ორბიტულ კომპლექსს შეუპირაპირდა „სოიუზ-27“ კოსმოსური ხომალდი, რომელმაც სადგურში მიიყვანა კოსმონავტები ვ. ა. ჯანიბეკოვი და ო. გ. მაკაროვი. ხუთი დღის განმავლობაში პირველად მუშაობდა ეკიპაჟი ოთხი კოსმონავტის შემადგენლობით.

22 იანვარს „პროგრეს-1“ ავტომატური სატვირთო ხომალდის მეშვეობით კოსმოსური ფრენის პრაქტიკაში პირველად ორბიტულ სადგურს მიაწოდეს ძრავებისათვის გათვალისწინებული საწვავი, მოწყობილობა, აპარატურა და მასალები ეკიპაჟის ცხოველმოქმედების უზრუნველყოფისა და მეცნიერულ გამოკვლევების განხორციელებისათვის.

3 მარტს „სოიუზ-28“ ხომალდით ორბიტულ კომპლექსს ეწვია საერთაშორისო ეკიპაჟი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ა. ა. გუბარევი და ჩეხოსლოვაკიელი ვ. რემეკი. „სალუტ-6“ — „სოიუზ-27“ — „სოიუზ-28“ ორბიტულ კომპლექსის შვიდი დღე-ღამის ფრენის დროს საერთაშორისო ეკიპაჟმა განახორციელა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მთელი რიგი ერთობლივი გამოკვლევები და ექსპერიმენტები.

„სალუტ-6“ სადგურის ხანგრძლივი პილოტირებული ფრენის დროს შესრულდა ბევრი მნიშვნელოვანი სამეცნიერო-ტექნიკური გამოკვლევა და ექსპერიმენტი.

ფრენის მთელი დროის მანძილზე „სალუტ-6“ სადგურისა და კოსმოსური ხომალდების საბორტო სისტემები და აპარატურა ნორმალურად მუშაობდა. ფრენის დაგეგმილი პროგრამის წარმატებით შესრულებამ დაადასტურა კოსმოსური კომპლექსის მაღალი საექსპლოატაციო თვისებები და საიმედოობა, რამაც შესაძლებელი გახადა სამი თვის მანძილზე განხორციელებულიყო სატრანსპორტო ხომალდების ოთხი შეპირაპირება „სალუტ-6“ ორბიტულ სადგურთან, და ცხადყო, რაოდენ ეფექტიანია ერთობლივი კოსმოსური ფრენისათვის სხვადასხვა ქვეყნის კოსმონავტთა შერჩევისა და მომზადების საბჭოთა კავშირში შემუშავებული მეთოდიკა.

„სალუტ-6“ ორბიტულ სადგურში მუშაობა წარმატებით დამთავრდა, მაგრამ წინ დიდი გეგმებია, წინ დიდი სამუშაოებია, და ჩვენ მოუთმენლად ველით უფრო დიდ საოცრებებს კოსმონავტიკის განვითარების საქმეში.



# კოსმონავტიკის ისტორიაში პირველად!





ეროვნული ბიბლიოთეკა



## ელეონორა კანდელაკი

(რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი)

სერიიდან „კუბა დღეს“

(ფერწერა)

● დოკერები

● ქალიშვილი ყვავილით.

● ფორთოხალი.





ეროვნული ბიბლიოთეკა



## გულდა კალაძე



● ქალიშვილი (ქანდაკება).
● ბუხრის კერამიკული მოხატულობა.



ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი
მაია ჩიბურდანიძე

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილ ქართველ პოეტს, საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს ჰწერალთა კავშირის გამგეობის მდივანს, მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს იოსებ ნონეშვილს დაბადების სამოცი წელი შეუსრულდა.

„დროშის“ რედაქცია მხურვალედ ულოცავს ღვაწლმოსილ მამულიშვილს, ჩვენი ჟურნალის უახლოეს თანამშრომელს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და მრავალ შემოქმედებით გამარჯვებას.



ვაკეობა ჩარგალში, 1974 წ.

# იოსებ ნონეშვილი — 60



გალაკტიონ ტაბიძე და იოსებ ნონეშვილი, 1946 წ.



იოსებ ნონეშვილი და მშვიდობის დაცვის მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი რომეშ ჩანდრა.



ჩილე, ისლა ნეგრო, სტუმრად პაბლო ნერუდასთან.

## სიტყვა მეგობარს

იოსებ ნონეშვილი ჩვენი დროის შესანიშნავი პოეტია და ამიტომ ავღნიშნავთ დიდი სიყვარულით მისი დაბადების სამოცი წლისთავს. ოთხ ათეულ წელიწადზე მეტია, რაც იოსებ ნონეშვილი გულმართლად და დაუღალავად ემსახურება ქართულ პოეზიას და დღეს დამსახურებულ სიხარულს იმკის.

ჩემი სიჭაბუკის მეგობარმა სამოცი წელიწადი ისე გალია, რომ მგონნის ხანდაზმულლობაზე არ მიფიქრია. იგი დღესაც ჭაბუკივით მგზნებარე და მოუსვენარია, ხოლო სიტყვა მისი მღელვარე და ნაპერწკლიანი. იოსებ ნონეშვილი ერთ-ერთი იმ ბედნიერ პოეტთაგანია, რომელიც პირველი ლექსების გამოქვეყნებისთანავე შეიყვარა მკითხველმა და ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ კარგი მომავალი უწინასწარმეტყველა. დიდად სასიხარულოა, როცა დამწყები შემოქმედი ხალხს იმედს უმართლებს. იოსებ ნონეშვილმა ეს შესძლო თავისი ნიჭის წყალობით. ამის დასტურია მისი ესოდენ დიდი პოპულარობა, რომელიც მისმა მშვენიერმა პოეზიამ მოიპოვა. განსაკუთრებით ახალგაზრდობას უყვარს პოეტი. უპირველესი მიზეზი ამისა უთუოდ პოეტის ლექსის სისადავე და გამჭვირვალობა. ხატოვანი სიტყვა და მიმზიდველობაა, რომელიც ხიბლავს მკითხველსა და მსმენელს. ყოველივე ეს კი მეგობრებსა და პოეზიის მოყვარულთ დიდ სიამოვნებას გვანიჭებს.

დღეს, როცა თვალს ვავლებ პოეტის მიერ განვლილ გზას, ახლო წარსულში ვიხედები, თვალწინ მეხატება პირტიტველა ბიჭი, რომელიც პირველ ნაბიჯებს დგამდა პოეზიაში და ახლად შეძენილ ამხანაგებს აღელვებული გვიკითხავდა ნაზსა და სათუთ სტრიქონებს, რომლებიც კახეთის მსუყე მიწაზე იყო აღმოცენებული და ფრთაშესხმული.

დიდი დრო გავიდა იმ დღიდან. ეს იყო ორმოციოდე წლის წინათ. ჩვენი იოსები გაიზარდა, დალვინდა, დავაჟკაცდა. გავბედავ და ვიტყვი: პოეტი მხოლოდ ახლა ეპირება შევიდეს სიჭარმაგეში კვლავ ახალგაზრდული ენერგიითა და შემართებით, თანაც შესანიშნავი ქმნილებებით დახუნძლული. დაუღლელ შემოქმედს არ ემჩნევა წელთა სიმძიმე, ხოლო მის მადლიან ქართულს არ აკლია ეშხი და ელვარება.

ამიტომ უყვარს იოსებ ნონეშვილი ხალხს.

ამიტომ ეწაფება მის პოეზიას მკითხველი.

ხალხის ამ სიყვარულით გარემოცულს ეაროს პოეზიის ძნელსა და დიდ გზაზე დიდხანს, ძალიან დიდხანს ჩემს ძვირფას მეგობარს.

რევაზ მარგიანი



# დაუვიწყარი ხელოვანი

მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა 1967 წლის თეატრალური სეზონი პრემიერით — ა. პარონიანის „ძია ბალდასარით“ დაასრულა. სპექტაკლში დიდი წარმატება ხვდა კომედიური ჟანრის ბრწყინვალე ოსტატს აკაკი კვანტალიანს, რომელმაც ბალდასარის როლში თავის აქტიორულ შესაძლებლობათა ახალი თვისებები გამოავლინა. ულოცავდნენ მეგობრები, მისი ნიჭის ურიცხვი თაყვანისმცემლები, ყველა — ვისაც კი შესაძლებლობა ჰქონდა ენახა მის მიერ ძალზე საინტერესოდ განსახიერებული ბალდასარი. ორიოდე კვირის შემდეგ კი მეტად სამწუხარო ამბავმა მოიცვა მთელი საქართველო — გარდაიცვალა აკაკი კვანტალიანი!

მეტად თავისებური გარეგნობით და გამომეტყველებით საკმარისი იყო მისი სცენასა თუ ეკრანზე გამოჩენა. საკმარისი იყო ეთქვა თუნდაც ერთი ფრაზა, რომ მაყურებელს გულიანად ეხარხარა, ა. კვანტალიანის ყოველ მოძრაობას, ყოველ სიტყვას სიცილის აღმგზნები საოცარი ძალა ჰქონდა,

კოტე მარჯანიშვილის სახელთანაა დაკავშირებული აკაკი კვანტალიანის პირველი პროფესიული სცენური ნაბიჯები. დიდმა რეჟისორმა იმთავითვე ამოიცნო ჭაბუკი მსახიობის მდიდარი აქტიორული ბუნება. და როდესაც სათავეში ჩაუდგა ქუთაის-ბათუმის სახელმწიფო თეატრს, იმ რამდენიმე მსახიობს შორის. რომლებიც მან თბილისიდან წაიყვანა. ერთ-ერთი კვანტალიანი გახლდათ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კ. მარჯანიშვილს მხოლოდ და მხოლოდ სინთეზური თეატრის არსებობა სწამდა. იგი ნამდვილ აქტიორად მას მიიჩნევდა. ვისაც მკვეთრი გარდასახვის უნარი შესწევდა — შეეძლო მძაფრი დრამატული როლის წარმოდგენის შემდეგ ასეთივე მხატვრული სიმართლით წარმოესახა კომიკური პერსონაჟიც. ა. კვანტალიანი მსახიობისთვის საჭირო ყველა ამ თვისებას აერთიანებდა (თუმცა მისი სტიქია მაინც კომიკური როლები იყო), მარჯანიშვილს მოსწონდა კვანტალიანის მრავალმხრივი აქტიორული ნიჭი და ამიტომაც გამორჩეულად უყვარდა. პომეტ კარლო კალაძის გადმოცემით კ. მარჯანიშვილს არაერთხელ უთქვამს კაკოზე — ეს ყმაწვილი თავისი ოსტატობით უკვე სახალხო არტისტს უტოლდებაო.

სჯეროდა რა აკ. კვანტალიანის დიდი შესაძლებლობებისა. კ. მარჯანიშვილმა ბ. შოუს „წმინდა ქალწულში“ კარლ VII მეტად რთული როლი სწორედ მას. დამწყებ მსახიობს მიანდო, რომლისთვისაც ეს თეატრის სცენაზე პირველი მნიშვნელოვანი ნამუშევარი იყო.

კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით, ამავე თეატრში აკ. კვანტალიანმა შექმნა ისეთი საყურადღებო სცენური სახეები, როგორიცაა: კორნელი და ბადულია (ც. კალაძის „როგორ“ და „ხატიჯე“). ქუჩარა (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“) და სხვ.

1933 წლიდან კვანტალიანი მარჯანიშვილის სახელობის თეატრშია. რომლის ერთგული დარჩა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. ამ თეატრის სცენაზე პირველი დიდი გამარჯვება მსახიობს მოუტანა პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინებამ“. სადაც მოხუცი გლეხის — ხახულის ღრმად რეალისტური სახე შექმნა. აკ. კვანტალიანმა ცხოველი კომიზმი საოცარი ძალით შეაზავა სისადავესთან და კონტრასტული საღებავების მოშველიებით თავის გმირს განუმეორებელი მომხიბვლელობა შესძინა.

სატირული დაუნდობლობა, პირდაპირობა და მწვავე სარკაზმი ახასიათებდა აკ. კვანტალიანის მიერ წარმოდგენილ უარყოფით პერსონაჟს, მსახიობი შეულამაზებელი მამხილებლობით გვიხატავდა ჩვენი დროისათვის შეუფერებელ ადამიანებს, მოურიდებლად გადმოგვიშლიდა მათ შელახულ, შერყვნილ ბუნებას. კვანტალიანისეული დახასიათება იყო მიუდგომელი, გამქირდავი, გამაფრთხილებელი, კეთილ იუმორთან ერთად მას გააჩნდა ბასრზე ბასრი „ნესტარი“ და ვაი იმას, ვისკენაც მას მიმართავდა. განა ბოლომდე არ გასწირა მსახიობმა სოფლის მებატონე ანდუყაფარი (ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“), რომლის გაქანების ჰორიზონტი პირუტყვის დონეს გაუთანაბრა, ან თუნდაც ფლიდი და მუქთახორა ტიტიკო ვიქ. გაბესკირიას „გაზაფხულის ღილადან?“

გროტესკული სილაღით გამოირჩეოდა აკ. კვანტალიანის არტემ ფილიპოვიჩ ზემლიანიკა გოგოლის „რევიზორიდან“. მის თამაშს ახასიათებდა ცხოველი გამომგონებლობა, დამახასიათებლისა და ნიშანდობლივის სურათოვნად წარმოსახვა. მსახიობი ისე მეტყველად მოძრაობდა სცენაზე, თითქოს განსახიერების მთელი დედაარსი მოძრაობაშიაო; ყოველი დეტალი გრაფიკულ სიზუსტეს უტოლდებოდა.

აკ. კვანტალიანმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა ლ. იოსელიანის რეჟისორობით დადგმულ ბ. შოუს „პიგმალიონში“, სადაც „ფილოსოფოსი“ მენაგვის — ალფრედ დულიტლის მეტად კოლორიტული სახე შექმნა. მსახიობმა წინა პლანზე წამოსწია დულიტლის სახის იდეური სიმახვილე და იმ ეპოქის სოციალური სიმწვავე, რომელშიც მის გმირს უხდებოდა ცხოვრება.

მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე აკაკი კვანტალიანმა რამდენიმე რეჟისორული დადგმა განახორციელა. რეჟისურაშიც კომედიას ეტანებოდა (უფრო ლაღად გრძნობდა თავს), ავლენდა

## რედიარდ კიპლინგი

### ლისპეთი

მხატვარი თენგიზ სამსონაძე

იგი ჰიმალაის მკვიდრის სონუესა და ჯადეს ქალიშვილი იყო. ერთ წელიწადს მათ სიმინდი არ მოუვიდათ და კოტგარჰის ველზე გაშლილი ყაყაჩოს ყანაშიც ღამით დათვებმა ითარეშეს. ამიტომ მომდევნო წელს მათ ქრისტიანობა მიიღეს და ბავშვიც მოსანათლად მიიყვანეს. კოტგარჰის მღვდელმა გოგონას ელისაბედი დაარქვა, ხოლო მთის ანუ ფაარის მკვიდრნი კი ელისაბედის ნაცვლად ლისპეტს ეძახდნენ.

მერე კოტაგარჰში ხოლერა გაჩნდა და სონუე და ჯადე თან გაიყოლია, ხოლო ლისპეტი კოტგარჰის მღვდლის მსახური და მხლებელი გახდა.

ქრისტიანებისა თუ მისი ტომის ღმერთების წყალობით, ლისპეტი მეტად ლამაზი ქალიშვილი დადგა. მთიელი ქალიშვილი როცა ტანს იყრის და ეშხიანი ხდება, მის სანახავად, მართლაც, ღირს ორმოცდაათი მილის გავლა.

ლისპეტს სახე ბერძნულ ქანდაკებას მიუგავდა, ასეთ სახეს ხშირად ხატავენ ხოლმე, ცხოვრებაში კი იშვიათად გვხვდება. ფერმკრთალი გახლდათ, ზღაპრული თვალები ჰქონდა, სპილოსძვლისფერი კანი და თავისი რასის პირობაზე საკმაოდ მაღალიც იყო.

ლისპეტი შეეთვისა ქრისტიანობას და როცა დაქალდა, მრავალი სხვა მთიელის მსგავსად, არც მაშინ განდგომია ამ რელიგიას, ამიტომაც სძულდათ იგი თვისტომთ; ამბობდნენ: თეთრ ქალბატონად იქცა, ყოველდღე ბანაობსო.

მღვდლის ცოლი საგონებელში ჩავარდა, არ იცოდა, რითი დაესაქმა იგი. განა შეიძლება ხუთი ფუტი და ათი დიუმის სიმაღლის ქალღმერთს შეჰკადრო იატაკი ხეხოს ან ჭურჭელი რეცხოს?!

ლისპეტი თამაშობდა მღვდლის შვილებთან ერთად, კითხულობდა ყველა წიგნს, რაც ხელში მოხვდებოდა და დღითი დღე მშვენიერდებოდა.

მღვდლის ცოლმა დაიჟინა, ლისპეტი ძიძად უნდა გავამწესოთ სიმლაში, ანდა რამ შესაფერი სამუშაო ვუშოვნოთო, მაგრამ ლისპეტს ამის გაგონებაც არ სურდა; იგი მღვდლის სახლშიც მშვენივრად გრძნობდა თავს.

მოგზაურები კოტგარჰში რომ შემოივლიდნენ, რაც იმ წლებში იშვიათად ხდებოდა, ლისპეტი თავის ოთახში ჩაიკეტებოდა — ეშინოდა, სადმე უცხო ქვეყანაში არ წაეყვანათ.

ერთხელ, როცა უკვე ჩვიდმეტი წლისა იყო, ლისპეტი სასეირნოდ წავიდა. ინგლისელი მანდილოსნებისაგან განსხვავები,თ, რომლებიც სულ რაღაც მილნახევარს თუ გაივლიან ფეხით და მერე ცხენით ბრუნდებიან უკან, ლისპეტი ოც-ოცდაათ მილზე ნაკლებს არ ჯერდებოდა.

ამჯერად იგი რაღაც მძიმე ტვირთით ხელში შებინდებისას დაბრუნდა, ციცაბო დაღმართი ჩამოიარა და კოტგარჰში შემოაბიჯა. მღვდლის ცოლი თვლემდა, როცა აქოშინებული და ქანცგაწყვეტილი ლისპეტი სასტუმრო ოთახში შემოვიდა, ტვირთი ტახტზე დადო და უბრალოდ თქვა:

— ეს ჩემი ქმარია. გზაზე ვიპოვე. დაშავებულია. ჩვენ მოვუვლით მას და რომ მომჯობინდება, თქვენი მეუღლე ჯვარს დაგვწერს!

მღვდლის ცოლმა შეიცხადა; ლისპეტმა ხომ პირველად ახსენა ცოლ-ქმრობა.

დივანზე მწოლიარე მამაკაცი დახმარებას საჭიროებდა .იგი გახლდათ ახალგაზრდა ინგლისელი, რომელსაც თავი რაღაც წვეტიანი და ბასრი საგნით ჰქონდა გაჩეხილი.

ლისპეტმა თქვა, ფერდობთან ვიპოვე და აქ მოვიყვანეო. ინგლისელი ძლივს სუნთქავდა და ცნობა ჰქონდა დაკარგული.

იგი ლოგინში ჩააწვინეს. თავზე მღვდელი დაადგა; მას ცოტა რამ გაეგე-

ამ ჟანრისთვის ნიშანდობლივ ელასტიურობასა და სიცხოველეს. კვანტალიანის რეჟისორული მრწამსის ამოსავალი წერტილი იყო მსახიობის სწორი სცენური განცდისა და განწყობილების წინ წამოწევა, მოცემული ეპოქის ღრმად შეგრძნება. მისი დადგმებისათვის დამახასიათებელი იყო კომიკურში იდეური რეზონანსის მკვეთრი ხაზგასმა.

ერთ-ერთი საუკეთესო დადგმა, რომელიც მსახიობმა სიცოცხლის ბოლო წლებში განახორციელა, პ. კაკაბაძის „ცხოვრების ჯარა" იყო. სპექტაკლი ჟღერდა როგორც გამანადგურებელი სატირა ჩვენი ეპოქისათვის შეუფერებელ. დახავსებულ ადამიანებზე, მათ შავბნელ. სავალალო საქმეებზე. დადგმასთან ერთად ამ სპექტაკლში აკ. კვანტალიანმა განასახიერა მთავარი მოქმედი გმირი ლოპიანე ძვაძვალეს ძე. პოლიკარპე კაკაბაძესთან ამ ახალმა შეხვედრამ კვლავ დიდი გამარჯვება მოუტანა მსახიობს.

აკ. კვანტალიანის შემოქმედების მეორე სამყარო კინოა, სადაც არანაკლები ძალით იჩინა თავი მსახიობის კომედიურმა ნიჭმა. გარდასახვის უნარმა. კვანტალიანმა ეკრანზე ორმოცამდე როლი განასახიერა, რითაც უთუოდ გაამდიდრა ქართული კინოხელოვნება. მის მიერ შექმნილ სახეთა უმრავლესობა ეპიზოდურია, მაგრამ მსახიობი ისე დამახასიათებლად, ისეთი ნათელი ფერებით გვიხატავდა მათ, იმდენი სიხალისე შეჰქონდა თუნდაც ერთფრაზიან როლში, რომ შეუძლებელი იყო დიდხანს არ დაგვმახსოვრებოდათ იგი.

კვანტალიანის შემოქმედების განუყოფელი ნაწილია ესტრადა. ამ ჟანრში მსახიობს ისეთი შრომატევადი და ნაყოფიერი მუშაობა აქვს ჩატარებული, რომ იგი უცილობლად უნდა მივიჩნიოთ ქართული ესტრადის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

აკაკი კვანტალიანისა და ალექსანდრე გომელაურის თაოსნობით 1944 წლის მარტში ჩამოყალიბდა „მინიატურების ანსამბლი", რომელშიც გაერთიანებული იყვნენ მარჯანიშვილის თეატრის წამყვანი მსახიობები: ალექსანდრე ჟორჟოლიანი. სესილია თაყაიშვილი. გიორგი შავგულიძე. მერი დავითაშვილი. ლიზიკო ვაჩნაძე და სხვ. მართალია. ამ ანსამბლმა მცირე ხანს იარსება. მაგრამ თავისი კვალი სამუდამოდ აღბეჭდა ქართული ესტრადის ისტორიაში.

კვანტალიანი კრიტიკულად უდგებოდა თითოეული საესტრადო ნომრის შერჩევას. თუ მას არ აკმაყოფილებდა მინიატურის თემატური მხარე, ან არ მოსწონდა მწერლის ენა. სტილი, მას სცენაზე არ გამოიტანდა. იგი ვერ ითმენდა ესტრადაზე უგემოვნებისა და უსუსურობის გამოვლინებას. მისი თვალთახედვით ესტრადა მაღალი რანგის ხელოვნება იყო. საიდანაც მსახიობს შესაძლებლობა ეძლეოდა ემხილა თანადროულობის მრავალსახოვანი მანკიერებანი.

ცალკე საუბრის თემაა აკაკი კვანტალიანი როგორც მოქალაქე. პიროვნება, მოღვაწე. მისთვის მხოლოდ საკუთარ თავსა და შემოქმედებაზე ზრუნვა როდი იყო ამოსავალი წერტილი; კაკო კვანტალიანი თავისი თეატრის ბურჯი და მისი ინტერესების დამცველი იყო.

აკაკი კვანტალიანი, უპირველეს ყოვლისა, აქტიორი-შემოქმედი იყო, რომელსაც მეტად თავისებური და მკვეთრად ინდივიდუალური სამყარო გააჩნდა. აკ. კვანტალიანის აქტიორული ხელწერის ნიშანდობლივი თვისება გროტესკული სიმახვილე იყო. ძნელია დავასახელოთ მსახიობი, რომელსაც ისეთი ცხოველმყოფელობით შეეზავებინოს კონტრასტული საღებავები გმირის ჩამოსაქნელად, როგორც ამას კვანტალიანი ახერხებდა. მისი სტილისთვის დამახასიათებელი იყო სითამამე, ვნებათა სიჭარბე, მაგრამ მას შეეძლო პარალელურად ისეთი სათუთი გრძნობების გამოვლენა, რომ გაოცებული რჩებოდით მსახიობის გარდასახვის უნარით.

აკაკი კვანტალიანის გმირები დიდი ხანია ხალხის გულში დასახლდნენ, იქ იპოვეს საიმედო ბინა, ამიტომ შეიყვარეს მისი ხელოვნება განსაკუთრებით, ამიტომ იგონებენ დღესაც, მისი დაბადების 70-ე წლისთავზე, განსაკუთრებული პატივისცემითა და მოწიწებით.

ვაჟა ძიგუა

## უჩვეულო შემთხვევა

ამას წინათ ხარკოვის ხალხით სავსე ვაგზლის მოედანზე მოულოდნელად გამოჩნდა.. ლომი, თავისუფლად მოსეირნე „ნადირთა მეფე" პირველად ტაქსის შოფერებმა დაინახეს და დაფეთებულები შევარდნენ თავიანთ ავტომანქანებში.

სასწრაფოდ გამოიძახეს მილიცია. ორი საათის განმავლობაში [illegible] მანქანებით გარშემორტყმული ლომი როგორც იქნა დაიმორჩილეს და გალიაში დაამწყვდიეს.

როგორც შემდეგ გამოირკვა, ლომი, სხვა ცხოველებთან ერთად, ცირკში გამოსასვლელად ჩამოიყვანეს ხარკოვში. მან ისარგებლა მეთვალყურეთა დაუდევრობით, ღიად დარჩენილი გალიიდან გამოვიდა და ქალაქში დაიწყო სეირნობა.

## გიგანტური სოკო

ეს იყო ბუნების უხვი და მეტად იშვიათი საჩუქარი.

კისლოვოდსკში მცხოვრები ა. მიკროპულო ამას წინათ ტყეში შემთხვევით წააწყდა საკვებად გამოსადეგ თეთრ სოკოს, რომლის წონა 7 კილოგრამი და 500 გრამი იყო.

## იღბლიანი თევზაობა

აზოვის თევზის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა ამას წინათ იღბლიანად ითევზავეს.

ორიოდე საათში მათ უამრავი თევზი დაიჭირეს. საყოველთაო გაოცება გამოიწვია ქარიყლაპიამ, რომლის სიგრძე 2 მეტრს აღწევდა, წონა კი 22 კილოგრამი იყო.

თევზს დაზიანებულ პირზე და ლაყუჩებზე ეტყობოდა, რომ იგი რამდენჯერმე დასხლტომოდა ანკესებს.



ბოდა ექიმობისა. ლისპეტი კი კარს უკან იდგა, რათა საჭიროების შემთხვევაში იქვე გაჩენილიყო. ლისპეტი როდესაც გაენდო მღვდლის ცოლს, ამ კაცზე ვაპირებ გათხოვებასო, მღვდელმა და მისმა ცოლმა იგი დატუქსეს ასეთი შეუფერებელი ზრახვისათვის. ლისპეტმა მშვიდად მოუსმინა მათ და შემდეგ კვლავ იგივე გაიმეორა. ქრისტიანობას ძალზე დიდი დრო სჭირდება, რათა ამოიძირკვოს ცივილიზაციის უზიარები ისეთი გრძნობები, როგორიცაა ვთქვათ, შეყვარება ერთი ნახვით.

ლისპეტს არ ესმოდა, რატომ არ უნდა გაემხილა გულისნადები; მან ხომ იპოვა თავისი სათაყვანო არსება. არც ის უნდოდა, სახლიდან დაეთხოვათ. ასე აპირებდა მოევლო ინგლისელისათვის,ვიდრე იგი მომჯობინდებოდა და ჯვრის წერას შეძლებდა.

ინგლისელს ორი კვირა გაჰყვა მსუბუქი ციება, შემდეგ ჭრილობა შეუხორცდა და ლაპარაკიც შეძლო. სიკეთისათვის მადლობა გადაუხადა მღვდელს, მის ცოლს და განსაკუთრებით ლისპეტს. ასე თქვა, აღმოსავლეთში ვმოგზაურობდი და დეპრადანიდან აქ იმისათვის ჩამოვედი, სიმლას მთებში მცენარეები და პეპლები შემეგროვებინაო, აქ არავის იცნობდა. ახსოვდა მხოლოდ, რომ კლდეზე მაშინ გადაჩეხილიყო, როცა დამპალ ხეზე ამოსულ გვიმრას წყვეტდა. მზიდავებმა კი როგორც ჩანს, ბარგი მოპარეს და მიიმალნენ. ინგლისელი მომჯობინების შემდეგ სიმლაში აპირებდა წასვლას. მას უკვე აღარ სურდა მთებში ხეტიალი, მაგრამ იგი არ ჩქარობდა და ნელ-ნელა იკრებდა ძალას.

ლისპეტი არც მღვდლისა და არც მისი ცოლის რჩევას ყურად არ იღებდა ამიტომ მღვდლის ცოლმა ინგლისელს გაუმხილა ლისპეტის გულის ნადები. ინგლისელმა ბევრი იცინა და ეს ამბავი ლამაზ, რომანტიულ, ჭეშმარიტად ჰიმალაურ იდილიად მონათლა. მას ხომ დანიშნული ეგულებოდა თავის სამშობლოში და პირობის დარღვევა შეუძლებლად მიაჩნდა. მღვდლის ცოლს აღუთქვა, წინდახედულად მოვიქცევიო და, მართლაც, შეასრულა სიტყვა. ინგლისელი მაინც უარს არ ამბობდა ლისპეტთან საუბარზე. სეირნობდა ქათინაურებს აფრქვევდა, საალერსო სახელებს ეძახდა; მას ეს არაფრად უღირდა, ლისპეტისათვის კი უდიდესი ბედნიერების წყარო იყო. მთელი ორი კვირის განმავლობაში მეშვიდე ცაზე გრძნობდა თავს. მან ხომ იპოვა სასურველი არსება.

## მეცნიერის საუბარი

# გიგანტური მღვიმე-უფსკრულები

ჩვენი პლანეტის გიგანტური მღვიმე-უფსკრულების ნუსხა სისტემატურად ივსება და ზუსტდება. მსოფლიოს № 1 მღვიმედ დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნევდნენ კენტუკის შტატში (აშშ) მდებარე მამონტის სამსართულიან მღვიმეს, რომლის დერეფნების ჯამურ სიგრძედ 300 კილომეტრს თვლიდნენ; დეტალური ტოპოგრაფიული შესწავლით კი მამონტის მღვიმის ჭეშმარიტი სიგრძე მხოლოდ 74 კილომეტრი აღმოჩნდა.

ამ დაზუსტების შემდეგ მსოფლიოს გიგანტურ მღვიმეებს სათავეში ჩაუდგა შვეიცარიის ალპებში მდებარე ჰელლოხის მღვიმური სისტემა (სიგრძე-123,8 კმ), რომლის შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვის შვეიცარიის ალპურ კლუბს ალ. ბიოგლის ხელმძღვანელობით.

სენსაციის მოყვარულ ამერიკელებს არ ეპიტნავათ, რომ პლანეტის მიწისქვეშა სამყაროს № 1-მა ძეგლმა ევროპაში გადაინაცვლა. მათ გააცხოველეს მანამდე ნაკლებად შესწავლილი, პერსპექტიული მიწისქვეშა დერეფნების კვლევა და მალე საწადელსაც მიაღწიეს. 1972 წლის აგვისტოში წარმატებით დაგვირგვინდა მამონტის მღვიმის ერთ-ერთი ვიწრო და გრძელი დერეფნის შესწავლა, რომელმაც მკვლევარები მეზობლად მდებარე ფლინტის ქედის გიგანტურ მიწისქვეშა სისტემაში შეიყვანა. ამგვარად, მამონტ-ფლინტი ერთიანი მღვიმური სისტემა აღმოჩნდა (ჯამური სიგრძე 290 კმ). იგი კვლავ მოექცა სათავეში მსოფლიოს გიგანტურ მღვიმეებს, ჰელლოხმა მეორე ადგილზე გადაინაცვლა, მესამე და მეოთხე ადგილები დაიკავეს სსრ კავშირში (პოდოლიაში) თაბაშირის ქანებში მიკვლეულმა მღვიმეებმა — ოპტიმისტურმა (ჯამური სიგრძე 109,33 კმ) და ტბიანმა (ჯამური სიგრძე 101,5 კმ).

სსრ კავშირში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ახალი ათონის კეთილმოწყობილი მღვიმე აფხაზეთში, რომლის გიგანტურობაზე თვალსაჩინო წარმოდგენას გვაძლევს ასეთი შედარება: აღნიშნული მღვიმური სისტემის მოცულობა 1 მილიონ კვადრატულ მეტრს აღემატება; საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ახალი ათონის მღვიმემ დამთვალიერებელთა რიცხვით (მაგალითად, 1976 წელს 804 447 კაცი, 1977 წელს — 821.041 კაცი) უკან ჩამოიტოვა მსოფლიოს სახელგანთქმული მღვიმეები — პოსტოინა იუგოსლავიაში (წელიწადში საშუალოდ 692 000 დამთვალიერებელი) და მამონტისა აშშ-ში (წელიწადში საშუალოდ 611 000 კაცი).

უკანასკნელ წლებში სისტემატურად უმჯობესდება ვერტიკალურ კარსტულ სიღრუეებში ჩაღწევის მსოფლიო რეკორდები. ამჟამად გიგანტურ ვერტიკალურ მღვიმეებს სათავეში უდგას პიერ-სენ-მარტენის სახელგანთქმული უფსკრული (სიღრმე 1332 მ) საფრანგეთ-ესპანეთის სასაზღვრო რაიონში; აღსანიშნავია აგრეთვე საფრანგეთშივე დალაშქრული ბერნარისა (1298 მ) და ბერჟეს (1141 მ) უფსკრულები.

გიგანტურ უფსკრულებს ძალზე ტეხილი ფსკერი გააჩნიათ. არცთუ იშვიათად, ცალკეული საფეხურების სიმაღლე რამდენიმე ასეულ მეტრსაც კი შეადგენს. ამ მხრივ პირველობას ისაკუთრებს უფსკრული ელ სატანო დელ ბარო (ესპანეთი), რომელშიც ერთ-ერთი შვეული საფეხურის სიმაღლე 410 მეტრია.

უკანსაკნელი ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე საგრძნობლად გაცხოველდა ჩვენი ქვეყნის ღრმა უფსკრულების კვლევა. მაგალითად, 1977 წელს უზბეკეთში, კირკტაუს პლატოზე ე. წ. „კილსის" უფსკრულში საბჭოთა სპელეოლოგებმა 940 მეტრამდე ჩააღწიეს, რითაც საგრძნობლად მიუახლოვდნენ სიღრმული ჩაღწევების მსოფლიო რეკორდს. ამ მხრივ დიდი პერსპექტივებია დასავლეთ საქართველოს მთიან კირქვულ მასივებზე, კერძოდ, ბზიფის ქედზე, სადაც ე. წ. „თოვლიან" უფსკრულში მიღწეული სიღრმე 700 მეტრს აღემატება. თუ კი ამ უფსკრულში უფრო ღრმად ჩაღწევის შესაძლებლობა შეიქმნება (700 მ. სიღრმეზე ვიწრო ნაპრალი ამოხერგილია ლოდნარ-ნაყარი მასალით, მასში იფილტრება დიდი დებიტიანი ყინულივით ცივი წყალი), ეჭვი არ არის, აფხაზეთში, კარსტულ სიცარიელეებში სიღრმული ჩაღწევის მსოფლიო რეკორდი იბადება. ასევე ფრიად საინტერესოა მოსაზრება იმის შესახებ, რომ „თოვლიანი" უფსკრული მჭიშტას აუზს უნდა მიეკუთვნებოდეს. თუ ეს დადასტურდა, ჩვენს ქვეყანას ჭეშმარიტად უნიკალური მღვიმური სისტემა შეემატება.

საქართველოს მღვიმე-უფსკრულებისა და გამოქვაბულების რესპუბლიკას უწოდებენ. ჯერ კიდევ ბევრი შეუსწავლელი მიწისქვეშა ძეგლია აფხაზეთ-სამეგრელოსა და რაჭა-იმერეთში. ეს განსაკუთრებით ითქმის წყალუხვ მდინარეებიან მღვიმეებზე. ერთ-ერთი მათგანია მჭიშტა (შავწყალა) გუდაუთის რაიონში — ჩვენი ქვეყნის მიწისქვეშეთის თვალმარგალიტი. მართლაც, უახლოეს წლებში თუ კი სადმე მოსალოდნელია სენსაციური სპელეოლოგიური აღმოჩენები — ეს მჭიშტას მიწისქვეშეთზე ითქმის. მეცნიერულ ფაქტებზე დაყრდნობით, მტკიცედ შეიძლება ვივარაუდოთ. რომ მჭიშტას მღვიმეთა სისტემა, სულ მცირე, 100 კილომეტრზე ნაკლები არ უნდა იყოს.

მჭიშტას მიწისქვეშეთში შესაღწევი ერთადერთი გზა საგულდაგულოდ არის ჩარაზული წყლით ავსებული სიფონური არხებით. აკვალანგებით მიწისქვეშა დარბაზებში მოხვედრის ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ამ მიზნით უნდა ჩატარდეს წყლების გამოსასვლელი რაიონის კომპლექსური გეოფიზიკური შესწავლა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ავირჩიოთ ორი გზიდან ერთ-ერთი: მღვიმის ვიწრო შესასვლელები შეიძლება გავაგანიეროთ აფეთქებით, ანდა საჭირო გახდება მცირე დიამეტრის მქონე ხელოვნური გვირაბის გაჭრა. მსოფლიოს შესანიშნავი მღვიმეების ათვისების პრაქტიკაში ორივე ამ ხერხს არცთუ იშვიათად მიმართავენ.

მჭიშტას უნიკალური მიწისქვეშეთი ხალხის სამსახურში უნდა ჩავაყენოთ.

**ზურაბ ტინტილოზოვი,**
გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი.

---

ლისპეტს ველურის სისხლი ედგა, ამიტომ სულ არ ცდილობდა გრძნობების დაფარვას და ინგლისელი ერთობოდა ამით. როცა იგი გზას გაუდგა, მეტად დამწუხრებულმა და უბედურმა ლისპეტმა ნარკუნდამდე გააცილა. მღვდლის ცოლი ჭეშმარიტი ქრისტიანი იყო, შფოთი და აურზაური ეჯავრებოდა, ლისპეტი კი სულ არ ეპუებოდა მას. მღვდლის ცოლმა ინგლისელს სთხოვა, დაპირდი რომ დაბრუნდები და შეირთავ, ამით მაინც ეცი ნუგეში: „ხომ იცით, იგი მთლად ბავშვია და გულის სიღრმეში, ვგონებ, წარმართიც"...

ლისპეტი ნარკუნდას თხემზე იდგა და ტიროდა, ვიდრე მუტიანის ბილიკით მიმავალი ინგლისელი თვალს არ მიეფარა.

უკან დაბრუნებისას, ცრემლები შეიშრო და მღვდლის ცოლს უთხრა.

— იგი დაბრუნდება და შემირთავს. წავიდა, ეს ამბავი თავისიანებს რომ შეატყობინოს!

მღვდლის ცოლი მოეფერა და დაუდასტურა, აუცილებლად დაბრუნდებაო.

გავიდა ორი თვე. ლისპეტი მოუთმენლობამ შეიპყრო. მას უთხრეს, რომ ინგლისელი გაემგზავრა ზღვის იქით, ინგლისში. ლისპეტმა იცოდა, სად იმყოფებოდა ეს ქვეყანა, რადგან გეოგრაფიის პატარა სახელმძღვანელოები ჰქონდა წაკითხული. იგი მთიელი ქალიშვილი იყო და წარმოდგენაც არ ჰქონდა ზღვაზე. სახლში ერთი ძველი, მისთვის გაუგებარი რუკა ეკიდა. ლისპეტი როცა პატარა იყო, ამით ერთობოდა ხოლმე. ახლა მან კვლავ გამოათრია რუკა, ღამოობით თან დაჰქონდა, მოთქვამდა, ზედ ეძებდა სად უნდა ყოფილიყო ინგლისელი. მას არც გემი ენახა, არც მანძილისა გაეგებოდა რაიმე, ველურის გონება ვერ სწვდებოდა ამას; ან კი რა აზრი ჰქონდა მის ცოდნა-არცოდნას?! ინგლისელი ხომ მაინც არ აპირებდა დაბრუნებას და მთიელი ქალიშვილის შერთვას. როცა ასამში პეპლების ჭერას შეუდგა, დაივიწყა კიდეც ყველაფერი. შემდგომ ინგლისელმა დაწერა წიგნი აღმოსავლეთზე, რომელშიც ლისპეტის სახელიც არ იყო მოხსენიებული.

სამი თვის შემდეგ ინგლისელის მოლოდინში ქალიშვილმა ყოველდღე დაიწყო ნარკუნდაში სიარული. მღვდლის ცოლი ამჩნევდა, რომ ლისპეტი ამჯერად უფრო ბედნიერი იყო. ფიქრობდა, ღვთის წყალობით მგონი, ეშველაო...

ლისპეტმა მალე გული აიყარა ნარკუნდაში სიარულზე და სულ წაუხდა ხასიათი. მღვდლის ცოლმა გადაწყვიტა, დადგა დრო ქალიშვილისათვის სიმართლე რომ ეთქვა. ეთქვა, თუ რამდენად უაზრო იყო მისი მოლოდინი, რომ ინგლისელმა მხოლოდ ყასიდად, დასამშვიდებლად აღუთქვა დაბრუნება და რომ მას მაღალი რასის ქალიშვილი ჰყავდა დანიშნული. ლისპეტს ამის გაგონებაც არ სურდა. ინგლისელმა ხომ უთხრა მიყვარხარო და განა მღვდლის ცოლმაც არ დააიმედა, ინგლისელი აუცილებლად დაბრუნდებაო?!

— განა შეიძლება, რაც მან და თქვენ მითხარით, სიცრუე იყოს?! — შეეკითხა ლისპეტი.

— ეს შენს დასამშვიდებლად მოვიმოქმედეთ, შვილო! — მიუგო მღვდლის ცოლმა.

— მაშ მომატყუეთ? — იკითხა ლისპეტმა, — თქვენც და იმანაც?!

ქალმა თავი ჩაქინდრა და არაფერი უპასუხა. ლისპეტი ერთ ხანს დუმდა. მერე ველისაკენ გაემართა და მობრუნდა მთიელი ქალიშვილის წვირიანი კაბით, ცხვირში რგოლები და საყურეებიღა აკლდა. თმა სქელ ნაწნავად დაეგრიხა, მთიელ დიაცთა ადათისამებრ შავი ძაფი ჩაეწნა შიგ.

— ვუბრუნდები ჩემი ტომის ხალხს, — თქვა მან, — თქვენ მოკალით ლისპეტი, დარჩა მხოლოდ მოხუცი ჯადეს ქალიშვილი. თქვენ ყველანი მატყუარები ხართ — თქვენ და ინგლისელები!

სანამ მღვდლის ცოლი გონს მოვიდოდა, ქალიშვილი თვალს მიეფარა, იგი უკან არასოდეს აღარ დაბრუნებულა.

ლისპეტი შეერთო თავის ხალხს, თითქოსდა ძველი ცხოვრების დანატრების მერე გათხოვდა ტყის მცველზე, რომელიც ფაარიელთა წესისამებრ მუშტებით უზელავდა გვერდებს და მისი სილამაზეც მალე გაქრა...

ლისპეტი ღრმად მოხუცებული მიიცვალა. იგი კარგად ფლობდა ინგლისურს და როცა დათვრებოდა, თავისი პირველი სიყვარულის ამბავს ყვებოდა ხოლმე.

ძნელად წარმოიდგენდით, რომ ეს თვალამღვრეული, დანაოჭებული, ჩამომხმარი, მოჩვარული არსება ოდესმე შეიძლებოდა ყოფილიყო „ლისპეტი კოტგარჰის მისიიდან".

ინგლისურიდან თარგმნა **ედიშერ გიორგაძემ**

# მოგონებანი მაიაკოვსკიზე

## ჰუგო ჰუპერტი

მოსკოვში პირველად 1928 წლის მარტში ჩავედი. იმ ხანებში ვმუშაობდი მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტში, მარქსისა და ენგელსის თხზულებების სრული გერმანული აკადემიური გამოცემის სამეცნიერო რედაქციაში. ამასთანავე, როგორც ჟურნალისტი ვწერდი საბჭოთა ცხოვრების თემებზე, ვესწრებოდი მწერალთა დისკუსიებს, ვცდილობდი, არ გამომრჩენოდა მაიაკოვსკის არც ერთი გამოსვლა. 1928-29 წლების განმავლობაში მოსკოვში დავესწარი მაიაკოვსკის რამდენიმე საჯარო გამოსვლას. მან ისე სწრაფად იცოდა ტრიბუნაზე ასვლა, თითქოს ესტაფეტის ფინიშისაკენ იჩქარისო. მის სიტყვებში ჩქეფდა რწმენის დაუშრეტელი ძალა, ზეპირად იცოდა აუარებელი ლექსი და მათი წარმოთქმის დროს ხალხს თვალს არ აშორებდა, არ უყვარდა ერთი აჩემებული ტონით ლაპარაკი და ამიტომ მსმენელებში ყოველთვის ხალისს იწვევდა.

მაიაკოვსკის მეგობარმა პავლე ილიას-ძე ლავუტმა, რომელიც პოეტმა თავის „კარგიაში" მოიხსენია, მიამბო თუ რა დიდი ყურადღებით ეკიდებოდა მაიაკოვსკი თავისი გამოსვლების პროგრამის შედგენას; მან წინასწარ იცოდა, რომელი საწარმოს რამდენი მუშა ან უმაღლესი სასწავლებლის რამდენი სტუდენტი ესწრებოდა მის საღამოს, ჰქონდათ თუ არა მათ ჩამოყალიბებული ლიტერატურული წრეები, რათა ეს ცნობები მოხწრებულად გამოეყენებინა კამათში.

ვლ. მაიაკოვსკის პირველად ხელოვნების სახლში შევხვდი, კონსტრუქტივისტებისა და „ლეფის" (მემარცხენე ფრონტი) მომხრეთა შორის, „კარგიას" ირგვლივ ცხარე დისკუსიის დროს.

დიდი გულმოდგინებით ვადევნებდი თვალყურს მაიაკოვსკის ყოველ ახალ ლექსს, განსაკუთრებით „კომსომოლსკაია პრავდაში" დაბეჭდილ მის პუბლიცისტურ ნაწარმოებებს (თუმცა იმ დროს მიჭირდა მათი გაგება, ხშირად პავლოვსკის ლექსიკონიც ვერა მშველოდა). მაიაკოვსკის ხშირად ვხვდებოდი გერცენის სახელობის სახლში. ერთ საღამოს მე იგი პრესის მუშაკთა სახლშიც ვნახე. მიუხედავად დაღლილობისა, კარგ გუნებაზე იყო. თარგმანის შესახებ გავაბით ბაასი (რა თქმა უნდა, ჩემი მოხალისე თარჯიმნის დახმარებით), მაიაკოვსკიმ სინანული გამოთქვა, რომ თარგმნის სიძნელეების მიზეზით ევროპა არ იცნობს საბჭოთა პოეზიას, რევოლუციის ლიტერატურა კი სწორედ პოეზიით დაიწყოო. შემდეგ აღნიშნა, რომ მისი პოეზიის ფესვები ჩაქსოვილია რუსული ენის თავისებურებაში, ამიტომ მისი ლექსები უცხო იქნება ქვეყნის დანარჩენი კუთხეებისათვის და მხოლოდ პოლონურ ენაზე, რუსულ ენასთან მისი ნათესაობის გამო, არსებობს თითო-ოროლა მიმსგავსებული თარგმანიო. ამ თარგმანებს მან ვარშავაში მოუსმინა.

მე ვუმტკიცებდი, რომ გერმანულ ენას არანაკლები გამოსახვითი საშუალებები გააჩნია. შემდეგ გავუზიარე ჩემი განზრახვა მის ნაწარმოებთა გერმანულად თარგმნის შესახებ. მან გაკვირვებით შემომხედა, ოდნავ დამცინავი გამომეტყველებით დაეყრდნო მაგიდის მარმარილოს დაფას, ხელები გამიკავა, თითქოს მის მიმართ შეტევას ვაპირებდი და სახუმარო კილოთი წამოიძახა: „მე თქვენ გაფრთხილებთ, მე თქვენ გაფრთხილებთ!"

ხელები გავითავისუფლე და „მარცხენა მარშის" გერმანული თარგმანი წავუკითხე. თანდათან სერიოზული გამომეტყველება მიიღო, გადაიხარა, თვალები მილულა და სმენად იქცა. მესამე სტროფის შემდეგ ისიც იმეორებდა: „ლინკს, ლინკს, ლინკს! შემდეგ ხმის ამოუღებლად წამოდგა, ხელები მხრებზე დამაწყო და ალერსიანად მომაპყრო თაფლისფერი თვალები, ეს შემოხედვა ისეთი მომაჯადოებელი იყო, მე გავწითლდი.

— ამიერიდან ნურც მე და ნურც სხვას უფლებას ნუღარ მისცემთ, თქვან რაიმე ჩემი ლექსების თარგმნის შეუძლებლობაზე!

მე გამახსენდა ვილანდ ჰერცფელდის სიტყვები: „მაიაკოვსკის თარგმნა აბსოლუტურად შეუძლებელიაო", გამახსენდა და გამეღიმა. ამოიკითხა რა ჩემს სახეზე კმაყოფილება, მაიაკოვსკიმ დასძინა:

— განაგრძეთ, გეთაყვა, თარგმნა, უფლებას გაძლევთ. ეგ სტროფები კი, გთხოვთ, მანქანაზე გადაბეჭდილი, დამიტოვოთ!

მეორედ შეხვედრისას მიაკოვსკიმ ხალისიანად მომაძახა:

— სალამი, ჩემო გერმანულო რუპორო. სულ ჩამოკრიფე ციდან ვარსკვლავები, თუ კიდევ დარჩა თითო-ოროლა? კიდევ გსურთ იმტვრიოთ თავი ჩემზე? ძალიან მსიამოვნებს თქვენი ძალებისადმი რწმენა... თამბაქოს ეწევით?

მან დაწვრილებით გამომკითხა გერმანული ლექსის წყობის შესახებ. როდესაც გავაცანი, მკითხა, ჰაინემ ხომ არ უარყო ლექსის კლასიკური ნორმებიო და შემდეგ დაუმატა:

— კუნძულ ნორდერნეიზე მიჩვენეს ადგილი, სადაც ჰაინე ასი წლის წინ ზღვის ტალღების რიტმს სწავლობდა... მერე მან ჩრდილოეთის ზღვას უმღერა ურითმოდ, ქარიშხლის ტაქტზე. სხვათა შორის, იქ მე მივაგენი გამოქვაბულს, სადაც ჰაინემ ერთ რუს დიპლომატს, თავად კოზლოვსკის ლუიდორების მთელი გროვა მოუგო.

— უნდა გამოგიტყდეთ, — განაგრძობდა იგი, — ძალიან მინდა ილლიაში ამოდებული საკუთარი წიგნით ბერლინში შევიდე. კარგი არ იქნება — მაიაკოვსკი გერმანულად!.. როგორ ფიქრობთ, მომისმენენ კი იქ? თქვენ იტყვით, ახალგაზრდობა მოგისმენსო, მაგრამ განა ფაშისტები არ ცდილობენ, ახალგაზრდობა გადააჩვიონ ფიქრს?!

მაიაკოვსკის ოცი წლის მუშაობის ამსახველი გამოფენის გახსნის საღამოს პირველად მოვისმინე მისი ლექსი „მთელი ხმით". ლექსი ქარიშხალივით მოედო სავსე დარბაზს... შემდეგ პოეტს გარს შემოერტყნენ, მჭიდროდ, თითქოს ხალხს მისი ტრაგიკული დასასრულის წინათგრძნობა დაუფლებოდა და საფრთხისაგან იფარავდა. ეს იყო 1930 წლის თებერვალში, დაახლოებით ორი თვით ადრე პოეტის სიკვდილამდე.

მერე იგი უკანასკნელად დავინახე ვოროვსკის ქუჩაზე მდებარე იმ სახლში, რომელიც თავის „ომსა და მშვიდობაში" აღწერა ლევ ტოლსტოიმ.

მოსკოვის ნაადრევი გაზაფხულის მზიანი დღე იყო. რევოლუციის მგოსანი იწვა კუბოში, ამაღლებულ მაგიდაზე, ყვავილებს შორის, ფერმკრთალი და თვალდახუჭული. ხუთი წუთი ვიდექი საპატიო ყარაულში. ეს იყო 17 აპრილს. მივაცილებდი წითლად და შავად მორთულ კუბოს და ჩემი დაპირება მახსენდებოდა მის ნაწარმოებთა გერმანულად თარგმნის შესახებ.

ოცი წლის შემდეგ, ამიერკავკასიაში მოგზაურობის დროს, გორის დათვალიერების შემდეგ ბაღდადისაკენ გავწიე. ეს ტურფა და მადლიანი კუთხე დღეს მგოსნის სახელს ატარებს. გული სიხარულით ამევსო, როცა მაიაკოვსკის სახლი დავინახე. მომაგონდა ორმოცდახუთი წლის გაზაფხული, როდესაც საბჭოთა დივიზიებთან ერთად შევდიოდი განთავისუფლებულ ავსტრიაში — იქ ჩემს თანამემამულეებს მაიაკოვსკის ლექსებს ვუკითხავდი...

ახლა კი, ჩემს წინ შთაბეჭდილებათა წიგნი იდო.

— ასრულდა ჩემი დიდი ხნის ოცნება, — ჩავწერე შიგ, — ვიმყოფები იმ ჭერქვეშ, სადაც დაიბადა სოციალისტური პოეზიის გენია. ვლადიმერ ვლადიმერის-ძევ, მე დიდი ხნის წინ სიტყვა მოგეცი, შენი თხზულებები გამომეცა გერმანულად, აი, დღეს ანგარიშს გაბარებ: გერმანიისა და ავსტრიის მოწინავე ახალგაზრდობა შენს ნაწერებზე იზრდება, უყვარხარ მათ და ისწრაფვიან შენი მიზნებისაკენ. შენი სახელი ძლიერად ჟღერს ხალხის გულში!

გერმანულიდან თარგმნა.

შ. ამირანაშვილმა.

---

ერთ სოფელში კნეინა ცხოვრობდა, რომელსაც ერთი უცნაური ხასიათი ჰქონდა, [illegible] თუ [illegible], რომ სადმე ახლო ექიმი მოიყვანეს, უთუოდ ავად გახდებოდა, სამ-ოთხ საბანს დაიხურავდა და მისი კვნესა- ვიში დიდ მანძილზე ისმოდა. ერთხელ მეზობლისას ექიმი მოიყვანეს, კნეინა რასაკვირველია, ავად გახდა და ექიმთან კაცი აფრინეს. ექიმიც მალე მოვიდა და მძიმე ავადმყოფს სხვათაშორის წლოვანება ჰკითხა:

— ასე 35-37 წლისა უნდა ვიყვე, მაგრამ კარგად აღარ მახსოვს. მიხაკო (კნეინას ძმა), შენ უკეთ გეცოდინება და მოახსენე ექიმს!

— რას ამბობ, ქალო? 43-ისა მე ვარ და შენ 8 წლით ხარ ჩემზე უფროსი, 51-ისა მაინც იქნები!

ამ სიტყვების გაგონება და კნეინას ზეზე წამოჭრა ერთი იყო.

— ექიმიც შენა ყოფილხარ და წამალიც შენა გცოდნია, მე რაღას მაწუხებდით! — მიმართა ექიმმა მიხაკოს.

* * *

ერთმა ინგლისურმა ჟურნალმა ჯილდო დააწესა იმისათვის, ვინც ნამდვილ პასუხს გასცემდა კითხვაზე: „რა არის ბავშვი?

ჟურნალმა ბევრი პასუხი მიიღო; მოვიყვანთ ზოგიერთებს:

ბავშვი კაცობრიობის ყვავილია, რომელსაც ჯერ ზრუნვა არ შეხებია; მამის მეტოქეა დედის სიყვარულში; გრძნობაა, რომელიც სახლს საოჯახო კერად გარდაქმნის ხოლმე; პაწაწა ქმნილებაა, რომელსაც ზურგზე ჰკიდია მეუღლეთა სიხარული და მწუხარებანი; ბუნებისაგან ვადაზე წარმოდგენილი ვექსილია, რომლითაც გარდახდა აუცილებელია; კოკორია, ცხოვრების ხეზე გაშლილი; დედაკაცის საუკეთესო თვისების — თავგანწირვის აღმძვრელია; ნაზი, წყნარი და უსარგებლო ქმნილებაა, მაგრამ უიმისოდ დედამიწაც კი მიატოვებდა ბრუნვას...

პაწაწა არსებაა, რომელიც უფრო მეტ ზრუნვას ითხოვს, რამდენადაც იგი პატარაა; უგონო შუამავალია მამასა და დედას შორის და იმათი გულების აღგზნების საერთო წერტილი; პაწაწა ქმნილებაა, რომლის მხიარული ღიმილი კაცს ანგელოზებს აგონებს; ერთად ერთი სისრულეა ქვეყანაზე, ხოლო ყველა დედა ბედნიერი მფლობელია ამ საუნჯისა...

ბავშვი გასაღებია, რომელიც ყველა წოდების, ხარისხის და ხალხოსნობის გულებს აღებს; ის არის, რაც ოჯახს ბედნიერს ჰყოფს, სიყვარულს — მკვიდრს, მოთმინებას — უზომოს, ხელებს — გამრჯეს, ფეხებს — გრძელს, დღეებს — ამოკლებს, ჯიბეს — ამსუბუქებს, ტანისამოსს უფრო დიდხანს ატარებინებს, წარსულს ადვილად ავიწყებინებს და მომავალზე უფრო ნათლად აყურებინებს.

# ტყე მეურნე შვილებსა...

ტყე თუ არა, რა ულამაზო და ღარიბი იქნებოდა ქვეყანა. ბუნების მიერ ნაბოძები ამ ძვირფასი საგანძურის უპირველესი დამცველები მეტყევეები არიან. მარტო დამცველები კი არა, მათი მოტრფიალენიც, გამგებლებიცა და განმდიდებლებიც.

ტყეს თავისი კანონმდებლობა, თავისი წესი და ადათი აქვს. აი, სწორედ ამ ადათ-წესების დაცვით უვლიან და იცავენ თითოეულ ხესა და ბუჩქებს ჩვენი მეტყევეები.

საყოველთაოდ ცნობილია ის დიდი მზრუნველობა, რასაც ჩვენი პარტია და მთავრობა იჩენს ტყის მოვლა-პატრონობის, მისი რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და ახალი ვრცელი მასივების შექმნისათვის.

უკანასკნელ წლებში ჩვენს რესპუბლიკაში ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. ბევრი რამ კეთდება ბუნების მიერ ნაბოძები სიმდიდრის — ტყის შენარჩუნების, გეგმაზომიერად გამოყენებისა და განაშენიანებისათვის.

ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველაფერი უკვე რიგზეა, უკვე მაქსიმალურად არის გამოყენებული ყველა შესაძლებლობანი და რესურსები, ტყეს უკვე სრულფასოვნად ვუზღავთ ყოველივე იმას, რასაც იგი ჩვენი სიკეთისათვის იმსახურებს.

საქმის წინსვლის თავიდათავი მაინც ის არის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, ჩვენმა კომკავშირულმა, პროფკავშირულმა, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივმა ტყეების დასაცავად მთელი მშრომელები დარაზმეს. დიახ, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ტყეებს ასეთი შემწე და ქომაგი არასოდეს არ ჰყოლია! მათი დაცვა ხალხმა ითავა, მათი მოვლა-პატრონობა თითოეული მშრომელის მოვალეობის შემეცნებამდე ამაღლდა.

ამას წინათ აფხაზეთს ვეწვიეთ. საქართველოს ეს წარმტაცი მხარე საქვეყნოდ არის სახელგანთქმული თავისი საკურორტო ზონებით, უნიკალური კორომებით, ჯიშთა მრავალფეროვანი დაბურული ტყეებით.

გულრიფშის სატყეო მეურნეობას 127.615 ჰექტარი უკავია. იგი ძირითადად სამ კატეგორიად იყოფა: საკურორტო, დაცვით-საექსპლოატაციო და აკრძალულ ზოლად.

მეურნეობის ტერიტორიაზე არც-თუ ისე დიდი ხნის წინათ, არასწორი ჭრის შედეგად და ბუნებრივი მოვლენების გამო, ტყეები მნიშვნელოვნად იყო გამეჩხერებული.

გულრიფშელმა მეტყევეებმა მოჭრილი ჯიშების ნარგავებით შეავსეს ის ადგილები, სადაც არასწორი ჭრები იყო ჩატარებული; ახალი ნარგავები უკვე მხარში ამოუდგნენ წინაპართა ტყის ჯიშებს. აი, ასეთი სწორი გადაწყვეტილება ტყეს თავის პირვანდელ სახეს უბრუნებს და აკეთილშობილებს.

გარდა ამისა, გულრიფშელმა მეტყევეებმა ზღვისპირა ფართობებზე ოც ჰექტარზე დარგეს და გაახარეს კვიპაროსი. გახარებული ნარგავები უკვე გამოხშირვას მოითხოვს და მეტყევეებმაც არ დააყოვნეს, სათანადოდ გამოხშირეს და კეთილმოწყობილი პარკისათვის მოამზადეს.

მეტყევეთა საგულდაგულო შრომაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1976-1977 წლებში მათ 174,5 ჰექტარ ფართობზე გააშენეს მუხის, წაბლის, ნაძვის, სოჭის ძვირფასი ჯიშები.

მიუვალ ადგილებში, სადაც ტექნიკა არ უდგება, ხელით აკეთებენ ტერასებს, ხელით რგავენ ძვირფას, საუკეთესო ხარისხის ნერგებს. შევცქერი მათ და უნებლიედ მახსენდება ხალხში ნათქვამი სიტყვები:

— კარგი მეტყევე სიცოცხლეშივე იდგამს ცოცხალ ძეგლს.

ეს კარგად იციან გულრიფშელმა მეტყევეებმა. სწორედ ამ ჭეშმარიტებისაკენ, მისი დაცვისა და ცხოვრებაში განუხრელად გატარებისაკენ, ტყის სიმდიდრისადმი შემოქმედებითად და რაციონალურად მიდგომისაკენ მოგვიწოდებს ამას წინათ მიღებული საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება „ტყის მდგომარეობისა და შემდგომი გაუმჯობესებისა და რესპუბლიკის ტყის რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის შესახებ“.

გულრიფშელი მეტყევეები მთავარსარგებლობის ჭრებს იმგვარად წარმართავენ, რომ მან არ შეაფერხოს ტყის ნიადაგდაცვითი, ჰავისა და წყალმარეგულირებელი თვისებების შენარჩუნება. ჭრებმა ასევე უნდა უზრუნველყონ იმ კორომების შეცვლა, რომლებიც სხვადასხვა მიზეზთა გამო, დაცვით ფუნქციებს თანდათანობით ჰკარგავენ.

გულრიფშის სატყეო მეურნეობას მთავარსარგებლობითი ჭრები სამ სატყეო უბანში ჰქონდა დაგეგმილი: ჯამალ-ამტელის, ბრამბისა და ჩხალთის სატყეოებში. სულ 54.000 კუბური მეტრი ხე-ტყე მოიჭრა და გამოიზიდა. აქედან 23.000 კუბური მეტრი წიფელია, 22.000 კუბური მეტრი კი წიწვოვანი ხეები.

მთავარმა მეტყევემ ავთანდილ კიკაბიძემ აგვიხსნა, რომ ტყეკაფი სატყეო უბნების უფროსებმა კ. უშხვანმა, კ. ფერცულიანმა და ს. კილთაძემ გამოჰყვეს. ისიც შევიტყვეთ, რომ მეტყევე ტყეკაფის გამოყოფაში ფასდება, აქ ვლინდება მისი ძირითადი ცოდნა, უნარი, ტყისადმი ერთგულება თუ პროფესიონალური სიალალმართლე.

სპეციალისტებთან საუბრებმა მუშაობაში არსებული ზოგიერთი ხარვეზიც გამოამზეურა.

გამოყოფილ ტყეკაფში, როგორც ცნობილია, ხეების მოსაჭრელად ტყემრეწვის კომბინატის მუშაკები შედიან, რომლებიც თანმედროვე ტექნიკით არიან აღჭურვილნი.

ტექნიკა რომ არა, აბა იმხელა ხეების მოჭრასა და გამოტანას რა მუშახელი აუვიდოდა. ტექნიკა გვეხმარება, მაგრამ მისი სათუთად და მიზანშეწონილად გამოყენებაა აუცილებელი. თურმე ცოტა როდია შემთხვევები, როცა დამამზადებლები ზოგჯერ გულგრილობასა და ტყისადმი უსულგულობას იჩენენ.

ეს ხარვეზები სწრაფად უნდა გამოსწორდეს ყველა სატყეო მეურნეობაში, ყველგან მტკიცე კონტაქტი, შეწყობილი, სწორი, მოფიქრებული ურთიერთგაგება და ურთიერთმოქმედება უნდა დამყარდეს მეტყევეებსა და ხე-ტყის დამამზადებელთა შორის.

როცა სოხუმის სატყეოს ვეცნობოდით, საკუთარი თვალით ნახულმა და განცდილმა ნათლად დაგვანახვა, რომ აქაური მეტყევეებიც თავდადებით შრომობენ, ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ მათ წინაშე დასახული დიდი ამოცანის წარმატებით განხორციელებაში.

სოხუმელმა მეტყევეებმა უახლოეს ხანში 49 ჰექტარი ფართობი გაატყიანეს. წელს მათ ათ ჰექტარზე უნდა გააშენონ 30.000 ძირი სხვადასხვა ჯიშის ნერგები. თუ მთავარსარგებლობის ჭრებზე ვილაპარაკებთ, შარშან სოხუმის სატყეო მეურნეობიდან 42.600 კუბური მეტრი ხე-ტყე მოიჭრა და გამოიზიდა. აქედან 34.800 კუბური მეტრი სამასალე იყო.

ტყის ენა, შეიძლება ითქვას, ყველაზე უკეთ მეტყევემ იცის.

აი, სწორედ ასეთი მეტყევე გახლავთ გაგრის სატყეო მეურნეობის დირექტორი ოთარ ბერიშვილი.

— ჩვენს მეურნეობას არ გააჩნია ღია ფართობები, — გვეუბნება იგი, — ტყეების გაშენება ძირითადად მომდინარეობს დაბალი სიხშირის კორომებში, სადაც ვახარებთ ძვირფას ჯიშებს: წაბლს, კაკალს, სოჭს. ჭრაგავლილ ფართობებზე ბუნებრივი განახლება კარგი და მოსაწონი გვაქვს. მთავარსარგებლობის ჭრები აქ ყოველწლიურად 2.700 კუბურ მეტრს შეადგენს, ხოლო სანიტარული ჭრები კი 20.000 კუბურ მეტრს. ტყის შემდგომ შენახვასა და განვითარებაზე დადებით გავლენას მოახდენდა თუ მთავარსარგებლობის ჭრები არ ჩატარდება და იგი მარტო სანიტარული ჭრით შემოიფარგლება. ტყის სიმდიდრის და საკურორტო ზონის მტკიცედ დაცვისათვის, ჩვენი აზრით, წამოჭრილი საკითხი სერიოზულ გაანალიზებას მოითხოვს.

გასაანალიზებელი ბევრია! ახლა, როცა ჩვენი მეტყევეები გაორკეცებული ენერგიით იბრძვიან დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმისათვის — ტყეების დაცვა-განვითარებისათვის, ყოველ აზრს, ყოველ წინადადებას მართლაც რომ დიდი ჩაფიქრება და ღრმა გაანალიზება სჭირდება.

უშანგი ბედია

უცხოეთის ესტრადის ოსტატები

# ვინსენტ ვინი სული მინელი...



ამერიკული კინოსა და ესტრადის ვარსკვლავს ლიზა მინელს ჟურნალისტებისაგან მოსვენება არა აქვს. ქალიშვილი იყო და წარამარა აწუხებდნენ, გათხოვდა და კარებს უმტვრევდნენ, ქმარს გაეყარა და სული ამოართვეს.

დღეს ლიზა მინელი ჯეკ ჰელეის (ფოქსის ტელევიზიის განყოფილების პრეზიდენტი) მეუღლეა. ჯეკი მასზე თორმეტი წლით უფროსია.

— თქვენ გაინტერესებთ მიყვარს თუ არა ჩემი მეუღლე? — უთხრა ჟურნალისტებს ლიზა მინელმა, — დიახ, ძალიან მიყვარს, მაგრამ ყველაზე და ყველაფერზე — კინოზე, ესტრადაზე, უფრო მეტად მამაჩემი ვინსენტ მინელი მიყვარს.

კინომოყვარულთათვის ცნობილია ვინსენტ მინელის პირადი ცხოვრება, კარიერა; იგი მოხუცდა. ვინსენტ მინელის წლოვანება ჟურნალისტებმა კი ვერ დაადგინეს.

ხალხი ლიზას დედას ამსგავსებს, ლიზას დედის — ამერიკული ესტრადის კინოვარსკვლავის ჯუდი გარლანდის მეგობრები ამბობენ, რომ ლიზა პირწავარდნილი მამაა. მართლაც, ლიზა ძალიან ჰგავს მამას. ვეებერთელა ყავისფერი თვალები, ხორცსავსე ცხვირი, სისხლსავსე ტუჩები, შავი უხეში თმა, ყველაფერი მამისეული აქვს და როგორც ლიზა ამბობს, წარბებს რომ არ იწნიდეს, მასაც ისეთივე ხშირი წარბები ექნებოდა, როგორც მამამისს.

ვინსენტ მინელი 35 ფილმის ავტორია. ახლახან ვინსენტმა გადაიღო ფილმი „დროის საქმე", სადაც მთავარ როლებს ასრულებენ ლიზა მინელი და ინგრიდ ბერგმანი. ეს ერთადერთი ფილმია, სადაც მამა-შვილი ერთად წარსდგებიან მაყურებლის წინაშე.

ერთმა ჟურნალისტმა ლიზას ჰკითხა: თუ აკლია დედამისი, რომელიც შვიდი წლის წინათ გარდაიცვალა.

— რასაკვირველია, — თქვა მან, — ხშირად მესიზმრება. ხშირად ვატრიალებ ფირს, ვუყურებ ფილმს „შემხვდი მე სანტ-ლიუისში" და როცა დედაჩემი იწყებს სიმღერას „გისურვებ მხიარულ შობას", რომ არ ავტირდე, მეორე ოთახში გავრბივარ.

ლიზას მწარედ ახსოვს ის დღე (ეს იყო შობამდე სამი დღით ადრე, 1950 წელს), როცა დედამ ჯუდი გარლანდმა ქმარი და ოთხი წლის ლიზა მიატოვა და ნიუ-იორკისაკენ გაემგზავრა.

ლიზა მამის ამარა დარჩა, ძალზე განიცდიდა დედის წასვლას, მამა, მართალია, უამრავი საქმით იყო დატვირთული, მაგრამ შვილს ყურადღებას არ აკლებდა. ვინსენტი მარტო არასოდეს არ ტოვებდა თავის გოგონას — დასჭყავდა გადაღებებზე. ვინსენტი აღმერთებდა ლიზას და დღესაც აღმერთებს მას.

— ეს არაჩვეულებრივი ქალია, არაჩვეულებრივია ის ამ ფილმშიც, — თქვა მან, როდესაც გადაიღო ლიზა თავის ახალ ფილმში. — როცა ამ ფილმზე ვმუშაობდით, მე ლიზას ისეთივე პატივითა და მოკრძალებით ვეპყრობოდი, როგორც დედამისს ჯუდი გარლანდს — შესანიშნავ მსახიობს, საუცხოო კომედიანტსა და დიდ ტრაგიკოსს. მაგრამ მე ცოტა მსგავსებას ვხედავ ჯუდისა და ლიზას შორის. ლიზა არ არის ისეთი რთული პიროვნება, ტემპერამენტიანი, როგორიც დედამისი იყო. ლიზა არასოდეს მინახავს წონასწორობიდან გამოსული, იგი საოცრად ენერგიულია, მომთმენი. ბევრმა არ იცის, რომ იგი სკლეროზით არის დაავადებული. ლიზა უარს ამბობს მკურნალობაზე; „სანამ ცეკვა შემიძლია, მუდამ კარგად ვიქნები", — ამბობს ის.

ლიზა მინელს არ მიაჩნია, რომ იგი მდიდარია. დედამისი — ჯუდი გარლანდი მიუხედავად ფანტასტიკური პოპულარობისა, წლების განმავლობაში და გარდაცვალების შემდეგ ვალებში იყო ჩაფლული.

ყველაზე დიდი ტრავმა ლიზამ მაშინ მიიღო, როდესაც აღმოაჩინა, რომ ფული არ ჰქონდა. ექვსი წელიწადი მის შემოსავალს ფირმა განაგებდა. ფირმამ იგი მოატყუა.

— ერთ მშვენიერ დღეს (ნიუ-იორკში) სახლში შუქი ჩაქრა. გამოირკვა, რომ გამორთეს, რადგან ფული არ მქონდა გადახდილი. წავედი საყიდლებზე და როცა მოვისურვე რაღაცის ყიდვა, მაღაზიის მეპატრონემ მითხრა, რომ ჩემი კრედიტი ძალაში აღარ არის. ვერ დავიჯერე, რომ ეს ყველაფერი ჩემ თავზე ხდებოდა. დახმარებისთვის მამისათვის არ მიმიმართავს. ახლა მე სხვა ფინანსური მენეჯერი მყავს და შევძლებ ჩემი თავის რჩენას, სანამ ხმა მაქვს და ცეკვა შემიძლია, — ამბობს ლიზა მინელი .

ნანა ქუთათელაძე

---

ისტორიამ საკმაოდ შემოგვინახა ცხოველების წინააღმდეგ მიმართული სასამართლო პროცესების მასალები. ცხოველების, ფრინველების, მწერებისა თუ ქვემძრომების მიმართ სასამართლო პროცესების აღძვრა, საკმაოდ ხშირი მოვლენა იყო შუა საუკუნეების ევროპისათვის.

მოსეს კანონმდებლობა ითვალისწინებს, ქვებით ჩაქოლონ ის ხარი, რომელიც დაასახიჩრებს ადამიანს, იგივე კანონი სასტიკად კრძალავს ჩაქოლილი საქონლის ხორცის ჭამას.

ცხოველთა დასჯა ფართოდ იყო გავრცელებული ძველ სპარსეთსა და საბერძნეთში.

ცნობილი მეცნიერები პითაგორე და ემპედოკლე ამბობდნენ, რომ ცხოველებს გააჩნიათ სული. პლატონი ქადაგებდა — თუ ადამიანი ცხოველისაგან დაიღუპა, აუცილებელია ცხოველის მიმართ მაშინვე აღიძრას პროცესი, სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულება კი არხონტებს მიენდოსო (არხონტი თანამდებობის პირი იყო ძველ საბერძნეთში).

ათენის სისხლის სამართლის კოდექსების მიხედვით — „ყველაფერი ის, რასაც არ გააჩნია ენა, შეიძლება გაასამართლონ". საგნებსა და ცხოველებს ძველ საბერძნეთში, როგორც წესი, ასამართლებდა სახელმწიფო სასამართლო-ეფექტი. იგი „დამნაშავეებს" უმთავრესად უსჯიდა ქვეყნის ფარგლებიდან გაძევებას. ძველ რომში ერთხელ სენატორმა ნუმა პომპილიუსმა თურმე ბრძანა, სიკვდილით დაესაჯათ ცხოველი, რომელმაც სახელმწიფო საზღვარი დაარღვია.

შუა საუკუნეებში მეტად გახშირდა პროცესები ცხოველების მიმართ. მაშინ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეშმაკი, ადამიანთა მოტყუების მიზნით, ცხოველებში იბუდებდა ხოლმე და იქიდან ეწეოდა თავის ბოროტ საქმეს.

სასამართლო მიმდინარეობდა სამოქალაქო წესის სრული დაცვით. ბრალდებულ ცხოველს, ფრინველს თუ მწერს უგზავნიდნენ უწყებას, წინადადებას აძლევდნენ ეღიარებინათ დანაშაული. სასამართლოებზე გამოყავდათ ღორები, თხები, ძროხები, ხარები, ჯორები, ცხენები, ძაღლები, კატები, მამლები იმ მოტივით, რომ მათ მიერ ჩადენილი დანაშაული თითქოს ზიანს აყენებს ადამიანს.

# ცხოველები და მართლმსაჯულება

ისტორიამ შემოგვინახა საფრანგეთში ღორის გასამართლების ოქმები (1408 წ.). ღორს ბრალად ედებოდა ბავშვის მოკვლა. ღორი დააპატიმრეს, ციხეში ჩასვეს და ადამიანებთან ერთად თანაბარ საკვებს აძლევდნენ; მოწმეების სახით დაკითხეს მისი „მეგობარი" ღრუტუნები. რადგანაც ღორი ხმას არ იღებდა და მხოლოდ ღრუტუნებდა, მას უმოწყალოდ აწამებდნენ, რომ ეღიარებინა თავისი დანაშაული. საბოლოოდ ღორს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს.

შემონახულია ძაღლის გასამართლების საქმეც. ერთ ძაღლს, რომელსაც ბრალად ედებოდა ადამიანის დაკბენა, ჩამოხრჩობა მიუსაჯეს.

XVIII საუკუნიდან სასამართლოებში შემოღებული იყო წესი, რომლის მიხედვით მსჯავრდადებული ცხოველები თვითონვე ირჩევდნენ სიკვდილის სახეს. (ჩამოხრჩობა, დახვრეტა, ჩაქოლვა). შემდეგ, ეკონომიკური მოსაზრებით, სასამართლო თუ ცხოველს სიკვდილს მიუსჯიდა, მას სასაკლაოზე აგზავნიდა. დასჯილი ცხოველის ხორცი ძალიან იაფად იყიდებოდა, მისი თავი კი გამოჰქონდათ თვალსაჩინო ადგილას სათანადო წარწერით — რა დააშავა ცხოველმა და რატომ დასაჯეს იგი.

ცხოველთა და ფრინველთა მიმართ მიღებული განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ საზეიმო პირობებში — ყველა რიტუალის დაცვით. ჩამოხრჩობა, თავის მოჭრა ხდებოდა ქალაქის რომელიმე დიდ მოედანზე ხალხის თანდასწრებით.

(დასასრული იხ. მე-20 გვ.)



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# პრეტენდენტი ისევ თბილისელია

რატომ გვიყვარს ჭადრაკი?! თუნდაც იმიტომ, რომ მას აქვს უნარი (და ეტყობა, ყოველთვის ექნება) გაგვაოცოს, ახალ-ახალი სიურპრიზი მოგვიტანოს. განა ერთ-ერთი ასეთი სიურპრიზი არ იყო მაია ჩიბურდანიძის ძლევამოსილი ლაშქრობა და მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეების ძლევა! როდესაც მაიამ 1976 წელს თბილისის საზონათაშორისო ტურნირში გაიმარჯვა, ამის დაჯერებაც ძალზე ძნელი იყო. თხუთმეტი წლის გოგონა დიდოსტატი და მსოფლიოს ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტი გახდა. წინ იყო რვა პრეტენდენტის უძნელესი პაექრობა, თვითეულ მათგანს კი, ცხადია, პატივმოყვარე ზრახვები ჰქონდა. მეოთხედფინალურ მატჩში მაია მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ ნანა ალექსანდრიას შეხვდა. მიმომხილველები ვის ანიჭებდნენ უპირატესობას? ცხადია, ალექსანდრიას. ბევრი იმასაც მიიჩნევდა, რომ ისევ ნანა მოიპოვებდა მსოფლიოს ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილთან შეხვედრის უფლებას. ალექსანდრია-ჩიბურდანიძის ორთაბრძოლა დიდხანს მართლაც გამოცდილი დიდოსტატის უპირატესობით მიმდინარეობდა, ბრძოლის ჩარხი მხოლოდ დასკვნით პარტიებში შემოტრიალდა და მაია შემდეგ წრეში გავიდა. ახალ მეტოქესთან, ახალგაზრდა დიდოსტატ ახმილოვსკაიასთან ჩიბურდანიძეს უკვე წინასწარ ანიჭებდნენ უპირატესობას. მართლაც და, ვინც ალექსანდრიას სძლია, მას ახმილოვსკაიასათვის „შავი დღე" უნდა დაეყენებინა. ეს შეიძლება ასეც იყოს. მაგრამ პრეტენდენტთა მატჩები როდის ჩატარებულა თავგადასავლების გარეშე! ბოლოს მაიამ მაინც გაიმარჯვა, მაგრამ, როგორც ეს მკითხველს კარგად მოეხსენება, მხოლოდ მძიმე და მძაფრი ბრძოლის შემდეგ.

ფინალური მატჩი კუშნირთან მაინც უძნელესი გამოდგა, თუმცა აქ გასაკვირი არაფერი იყო. კარგად არის ცნობილი კუშნირის უდიდესი შეუპოვრობა. ძირითადად ამ დიდი შეუპოვრობის გამო იყო, რომ მან სამგზის მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილთან შეხვედრის უფლება. რა თქმა უნდა, არც კუშნირის სხვა ღირსება უნდა დავივიწყოთ. ნონა გაფრინდაშვილთან ყოველი წაგების შემდეგ იგი მსოფლიოს ჩემპიონს ეუბნებოდა: „ჩვენ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს!" და თუ ახლა ეს შეხვედრა აღარ გაიმართება, ამაში „დამნაშავე" ჩვენი სასიქადულო მოჭადრაკე მაია ჩიბურდანიძე გახლავთ.

ისეთ მრავალნაცად დიდოსტატს, როგორიც კუშნირი გახლავთ, რა დაუპირისპირა მაია ჩიბურდანიძემ?! უპირველეს ყოვლისა, ხალასი ნიჭი. ნიჭი ნიჭია, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ მაია მატჩისათვის ჩინებულად იყო მომზადებული.

მოგეხსენებათ, მატჩში 14 პარტია გათამაშდა. 7 პარტიაში შავებით მაიამ ერთსადაიმავე დებიუტს — ძველინდურ დაცვას მიმართა. კარგი იყო ეს თუ ცუდი?! რა თქმა უნდა, როდესაც ყველა შემთხვევაში ერთსა და იმავე დებიუტს ირჩევ, მეტოქემ წინასწარ იცის ეს და შეიძლება კარგად მოემზადოს. კუშნირიც, ცხადია, ასე იქცეოდა, მაგრამ, რა შეიძლება დავასკვნათ ახლა, როგორც ძველი, რომაელები იტყოდნენ ხოლმე, „ფაქტების შემდეგ"? კუშნირმა ადრევე იცოდა, რომ მაია სალამოზე სწორედ ძველინდურ დაცვას გამოიყენებდა და... ეშინოდა ამ დებიუტისა! ყოველ შემთხვევაში, შვიდი ძველინდური დაცვიდან ექვს შემთხვევაში შავებს დებიუტის შემდეგ ისეთი პოზიცია ჰქონდათ, რომელიც სავსებით შეესატყვისებოდა მათ აგრესიულ სტილს. რა არ გააკეთა კუშნირმა ძველინდური დაცვის წინააღმდეგ. მის საწინააღმდეგოდ 7 შემთხვევაში 7 სხვადასხვა ვარიანტი მოსინჯა, შედეგს კი ვერ მიაღწია.

ჩვენ მატჩს მხოლოდ ორიოდე კუთხით შევეხეთ, საკითხი კიდევ მრავალია, მაგრამ მთავარი მაინც უნდა აღინიშნოს. სად გაგონილა რომ 17 წლის გოგონა მსოფლიოს ჩემპიონს გვირგვინს ეცილებოდეს! ეს იმას ნიშნავს, რომ მაიამ ყოვლგვარი რეკორდი მოხსნა და მხოლოდ თუ შეუძლია ებრძოლოს საკუთარ რეკორდებს. 13 წლისა იგი საერთაშორისო ოსტატი იყო, 15 წლისა— დიდოსტატი, 17 წლისამ წარმატებით გაიარა პრეტენდენტთა ასპარეზობის ყველა ქარცეცხლი და მსოფლიოს ჩემპიონთან შეხვედრის უფლება მოიპოვა.

ერთი სიტყვით, პრეტენდენტი ისევ თბილისელია და ეს ამბავი ჩვენ გულშემატკივრებს უზომოდ ახარებს.

გივი გამრეკელი

## ნატვრა

თუ თებერვალში
ხეები
ხანდახან კვირტებს
იშლიდნენ. —
შეჩერდხენ, —
მარტში,
როდესაც
დაირღვა
დღეთა სიმშვიდე!
ცხარობდა
მარტი და
როცა
კვირტებს დასჭირდათ
დამალვა,
ასე თქვეს:
„აპრილს დავუცდით,
ჩვენ შენი დროის
არა ვართ!"
მას შემდეგ, მართლაც
აპრილის
გამოჩნდა საქმე
კაცური,
ფრთები შეესხა
სიცოცხლის
საბედნიერო
ზღვა სურვილს.
მზე ამოვიდა,
თითქოსდა
სადღაც სულ ახლად
ჩასული,
და ნაომარი
ბუნების
დღე დაემგვანა
ომამდელს;
ტოტს აეყარა
კვირტები,
ჩიტები ხეზე
მომრავლდნენ.
ცაზე ურიცხვი
მერცხლები
ლაღად რომ
დანავარდობენ —
თითქოსდა კვირტებს
სტაცებენ
აპრილის მზის
სამადლობელს.
თითქოს ამბობენ,
თუ ადრე
აქა-იქ ღიმილს
გატყობდით,
აპრილის
ხილვას ვჩქარობდით,
აპრილის დღეებს
ვნატრობდით!

ილია აროსია

## ნარევი ნარევი ნარევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### წებოს ცვლის ნემსს

უკანასკნელ ხანებში ადამიანის ჭრილობის შესახორცებლად მედიცინაში ფართოდ იყენებენ საგანგებო წებოს, რომელიც წარმატებით ცვლის უხეშ ქირურგიულ ნემსს და სამედიცინო ძაფს.

ქირურგიული ნემსითა და ძაფით ნაკერების დადება, როგორც ცნობილია, ექიმისაგან მოითხოვს დიდ დროს, ჭრილობის ნაწიბურები ყოველთვის ზუსტად ვერ ესადაგება ერთმანეთს, შეხორცების შემდეგ ხშირად რჩება უხეში წამონაზარდები.

ყოველივე ამან განაპირობა ის დიდი საყოველთაო ინტერესი, რომელსაც ახლა იჩენენ სპეციალისტები სამედიცინო წებოსადმი.

სამედიცინო წებოს მრავალ დადებით თვისებასთან ერთად, ერთი მეტად უარყოფითი მხარეც აქვს: იგი სინთეტიკური წარმოშობისაა და ადამიანის ორგანიზმისთვის, ასე ვთქვათ, უცხო ნივთიერებას წარმოადგენს.

ავსტრიელმა სწავლულებმა ამას წინათ შეძლეს ცოცხალი ქსოვილისათვის განკუთვნილი წებო დაემზადებინათ... ცოცხალი ქსოვილისაგან.

ახალი პრეპარატი გამოიყენეს სხვადასხვა ქირურგიულ ოპერაციებში და მან საუკეთესო შედეგი გამოიღო.

სამედიცინო წებო განსაკუთრებით მოხერხებულია შინაგანი ორგანოების: გულის, თირკმელების, ფილტვების ოპერაციების დროს. ჭრილობის შეხორცების შემდეგ წებო სწრაფად შეიწოვება ორგანიზმში.

### ზვიგენების სასაფლაო

მექსიკელმა აკვალანგისტმა კარლოს გარსიამ მსოფლიოში პირველმა ნახა მძინარე ზვიგენები.

მექსიკის ყურის ერთ-ერთ წყალქვეშა კლდოვან გამოქვაბულში იგი შემთხვევით წააწყდა ათასობით ზვიგენს, რომლებიც მთვლემარე მდგომარეობაში იყვნენ.

კარლოს გარსიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ იგი წააწყდა ზვიგენების სასაფლაოს. მისი აზრით, დავრდომილი ზვიგენები აქ იმიტომ მოცურავდნენ, რომ მშვიდად და წყნარად შეგებებოდნენ სიკვდილს.

შემდგომმა დაკვირვებამ ეს მოსაზრება უარყო. ნათელი გახდა, რომ რამდენიმე ხნის გასვლის შემდეგ ზვიგენები ილვიძებდნენ, აქტიურდებოდნენ და სწრაფად სტოვებდნენ წყალქვეშა გამოქვაბულს.

ნამდვილი სენსაცია გამოიწვია ზოოლოგ ეჟენ კლარკის განცხადებამ, რომელიც წყალქვეშ დიდი ხნის განმავლობაში უკვირდებოდა ზვიგენებს.

მისი დაბეჯითებული რწმუნებით — წყალქვეშა გამოქვაბულები ზვიგენების საავადმყოფოა!

გამოირკვა, რომ გამოქვაბულის წყლის განსაკუთრებული თვისების გამო, ის მიკრობები, რომლებიც ზვიგენებში სხვადასხვა მძიმე დაავადებას იწვევენ, — თანდათან იხოცებიან.

ამოიხსნა აგრეთვე ზვიგენების მძინარე მდგომარეობის საიდუმლოც: ძილს თურმე იწვევს სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებები, რომლებსაც უხვად შეიცავს გამოქვაბულის წყალი.

# სპორტი
# СПОРТ
# SPORT



# როცა ბურთი ფეხებში იწვის

ჯანი რივერა იტალიაში დიდი ფეხბურთელის სიმბოლოა. ეს ალექსანდრიელი ყმაწვილი წითელ და შავზოლებიან მაისურში ოცზე მეტი წელია ხიბლავს იტალიელებს. იგი სულ ყმაწვილი იყო მილანში რომ ჩამოვიდა. რივერამ ორჯერ მოიპოვა ნაციონალური ჩემპიონობის ოქროს მედალი, ოთხჯერ იტალიის თასი, ორჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი და თასების თასი. იგი „ოქროს ბურთის“ მფლობელია, რომელიც მას „ფრანს ფუტბოლმა“ 1969 წელს გადასცა. რივერა 60-ჯერ მონაწილეობდა ეროვნულ ნაკრებში; როგორც კომენტატორები ამბობენ: „60-ჯერ ეცვა ცისფერი მაისური“. დღეს მისი გუნდი იბრძვის იმისათვის, რომ მეათედ გახდეს ქვეყნის ჩემპიონი.

ერთ-ერთი ინტერვიუს დროს რივერას ჰკითხეს:

—ოცი წელი ფეხბურთში ბევრია არა, ჯანი?

— სოლიდური ვადაა. თქვენ გაინტერესებთ, რა მომცა ფეხბურთმა?! მან ცხოვრება მასწავლა — ვისწავლე კარგისა და ცუდის გარჩევა.

— როგორ გრძნობთ თავს ფიზიკურად, ასე ვთქვათ, „ალორძინების“ შემდეგ?

— „ალორძინება“ არაფერ შუაშია; მე ყოველთვის ასე ვთამაშობდი. უბრალოდ, რამდენიმე ხნის წინათ ჩემი ცხოვრების ყველაზე ძნელი პერიოდი გავიარე, რაზეც გარკვეული ძალები და ენერგია დავხარჯე; საბედნიეროდ, ყველაფერს მშვიდობიანად დავაღწიე თავი.

— რა თქმა უნდა, ეს ლიდჰოლმის დამსახურებაა არა?

— უდიდესი. ყველაზე მეტი დაჟინებით ის მოითხოვდა, მე კვლავ დავბრუნებოდი ფეხბურთს. თვითონ 39 წლისამ დაანება ფეხბურთს თავი და არ მეთანხმებოდა, ასე ახალგაზრდას მიმეტოვებინა ფეხბურთი.

რივერა ჟურნალ-გაზეთების გმირი, რივერა — ცნობილი სპორტსმენი, საპატიო პიროვნება, თითქოს სხვა არაფერი იყოს უფრო საინტერესო ფეხბურთის სამყაროში. „რეკლამა“ ნაკლებად მაინტერესებს. მე ადამიანში ვაფასებ ერთგულებას, საქმისადმი სიყვარულს, გულახდილობას; და თუ ვინმემ არასწორად შემიცნო, მინდა გულახდილად ვაღიარო, რომ მქონდა შეცდომებიც, ყველაფერი ეს გამოუცდელობით მომივიდა; გული მტკივა, რომ ჩემსა და „ცისფერ მაისურს“ შორის ყველაფერი დამთავრდა. სამი წლის შემდეგ შეუძლებელია დამიძახონ, დამიძახებენ კი? ძალზე მეეჭვება. სამწუხაროდ, ამჟამად იტალიაში დიამეტრულად საწინააღმდეგო პოლიტიკა ტარდება, ვიდრე ფეხბურთის სხვა დიდ ნაკრებებში.

ბერგამოში მენიკეჩისთან ინციდენტის შემდეგ მხოლოდ მე აღმომაჩნდა ყვითელი ბილეთი. მსაჯებთან დიალოგი შეუძლებელია. დიალოგისთვის საერთოდ, ორი ადამიანია საჭირო, მე კი მონოლოგი გამომდის. ამიტომ გავჩუმდი ბერგამოში, ხმა არ ამომიღია, მხოლოდ მენიკეჩის ვუთხარი, რომ დაწესებული ცხრის ნაცვლად, რვა ნახევარი ნაბიჯი მქონდა-მეთქი.

ახლა ჩემ გუნდზე „მილანზე“, მის წარსულსა და დღევანდელ დღეზე. ახლო წარსულს თუ გადავხედავთ, „ბ“ სერიაში გადასვლა გვემუქრებოდა, დღეს კი „იუვენტუსთან“ ერთად პირველ ადგილს ვიყოფთ.

ყველაფერი კი ბეტიჩისთან უსიამოვნებით დაიწყო; მასთან უთანხმოება მქონდა და დიდი ძალა დამჭირდა, მის გამოსააშკარავებლად და თავის დასაღწევად. ამის შემდეგ იყო, რომ საწყალ „მილანს“ თავს დაესხნენ სხვადასხვა პირები, რომლებიც ცდილობდნენ ამღვრეულ წყალში თევზი დაეჭირათ. ჩემი ბედი, რომ გამომიჩნდნენ ისეთი მეგობრები, რომლებმაც ამ გაჭირვებიდან მიხსნეს.

— როგორია „მილანი“ დღეს, 1978 წელს?

— კარგი გუნდია; ყველაფერი ეს კი ლიდჰოლმის დიდი დამსახურებაა. მან შეძლო გუნდში სიმშვიდე შემოეტანა, აემაღლებინა ტექნიკა, მიეღწია იმისთვის, ხატოვნად რომ ვთქვათ, „როცა ბურთი ფეხებში იწვის“.

„მილანი“ თასის პრეტენდენტიც არის. შეუძლებელია გუნდის აღმავლობის დიდი ხნით შენარჩუნება, თუ მისი სუბსტანცია სოლიდური არ არის. ძნელია მომავლის ზუსტი პროგნოზირება, მაგრამ ჩვენი გუნდი ახლად დაბადებულია და ვფიქრობ, რომ იგი ჯანსაღი და ძლიერი იქნება, — დასძინა ბოლოს რივერამ.

ფოტოზე: ჯანი რივერა.

# ·კაკალ გულში·

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი
თენგიზ სამსონაძე

— ამ მასწავლებელზე ამბობენ, ადრე ნიშნებს უწევდაო...



— იცი, რას გეტყვი? წერა-კითხვა მე აბრებზე მაქვს ნასწავლი!

— მერე მე გიმტკიცებ, კემბრიჯის უნივერსიტეტის დამთავრებულს ჰგავხარ-მეთქი?!



— როგორი შთაბეჭდილება დატოვა შენზე დავით გარეჯმა?

— არაჩვეულებრივი. ბიჭო, რა ჯინსები ეცვათ ტურისტებს!

# თითქმის დაუჯერებელი

*

ამერიკის შეერთებული შტატების ბევრ საზღვაო კურორტზე საფრთხეში ჩავარდნილი მოცურავეების მაშველად იყენებენ... დელფინებს.

საგანგებოდ გაწვრთნილი დელფინები სანაპიროსთან დაცურავენ და ზღვის სიღრმეში ერეკებიან ნაპირებთან მიახლოვებულ ზვიგენებს.

*

ამერიკის შეერთებულ შტატებში, დელფინების გარდა, საგანგებოდ წვრთნიან ზღვის ლომებს.

გაწვრთნილ ცხოველებს ზღვებისა და ოკეანეების ფსკერიდან სწრაფად ამოაქვთ საუკუნეთა მანძილზე ჩაძირული სხვადასხვა ნივთები.

*

ნორვეგიელმა სპეციალისტებმა დაამუშავეს პროექტი ორიგინალური კაბინის, რომელიც ავტომატურად სცილდება ცეცხლწაკიდებულ ანდა სახიფათოდ დაზიანებულ ხომალდს.

კაბინა, რომლის მართვა შეიძლება, აღჭურვილია რადიოსადგურით, ვენტილაციით, სასმელი წყლით, პროდუქტებითა და სხვადასხვა აუცილებელი საგნებით.

*

ბატლერის (აშშ) მახლობლად ამას წინათ ცეცხლი წაეკიდა ფერმერ ჯ. რეინსის სახლს.

საშველად გამოძახებული სახანძრო რაზმი შემთხვევის ადგილზე დემონსტრაციულად არ გამოცხადდა.

ფერმერი თურმე ირიცხებოდა იმ ადამიანთა სიაში, რომლებმაც თავის დროზე არ გადაიხადეს 25 დოლარი... სახანძრო რაზმის მომსახურებისათვის.

*

ინგლისში მცხოვრებმა თუთიყუშმა სპარკიმ ზეპირად იცის... რვა პატარა პოემა.

იგი ხშირად მონაწილეობს ტელეგადაცემებში და პირადი შემოსავლიდან საყოველთაოდ დაწესებულ გადასახადს უხდის სახელმწიფოს.

*

კანადაში მსოფლიო გამოფენისათვის დაამზადეს ყველი, რომლის წონა იყო... 10 ტონა.

*

იაპონელმა ოსამუ სუმისიმ მსოფლიო რეკორდი დაამყარა სიმღერაში.

იგი მღეროდა 48 საათი და 21 წუთი.

*

დანიელი მეცნიერები ირწმუნებიან, რომ ცოლიანი და ქმრიანი ადამიანები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე შინაბერა ქალები და უცოლო კაცები

*

83 წლის სინგაპურელმა ტაკუ ალმან ფუიმ თავისებური რეკორდი დაამყარა: იგი 78-ჯერ... დაქორწილდა.

გარეკანის პირველ გვერდზე: საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობის დელეგატები ლენინის ძეგლთან. თარხან არჩვაძის ფოტო.

# ცხოველები და მართლმსაჯულება

(დასასრული)

1457 წ. საფრანგეთში გაასამართლეს ღორი თავისი ექვსი გოჭით. მათ ბრალად ედებოდათ 5 წლის ბიჭის მოკვლა. სასამართლომ დედაღორს ჩამოხრჩობა მიუსაჯა უკანა ფეხებით, ხოლო მხილების არარსებობის გამო, გოჭები გაანთავისუფლეს.

1474 წ. შვეიცარიაში გაასამართლეს და საჯაროდ დაწვეს მამალი, რომელმაც თითქოს კვერცხი დადო და, სასამართლოს აზრით, ბოროტ სულთან იყო დაკავშირებული.

ხშირად ასამართლებდნენ აგრეთვე თაგვებს, ვირთხებს, თხუნელებს, ჭიაღუებს, გველებს, თევზებს. კანადაში ერთხელ გაასამართლეს წერო, გერმანიაში — ბეღურები, შვეიცარიაში სამი გველთევზა.

XVI საუკუნის დამდეგს საფრანგეთში ძალიან მომრავლდნენ თაგვები, რომლებიც უმოწყალოდ ანადგურებდნენ მინდვრებს. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა საჩივარი აღძრეს მათ წინააღმდეგ. თურმე უწყება ყველა თაგვს გაეგზავნა, მაგრამ როგორც ძველი სასამართლოს ოქმები იუწყება, ამ ფაქტმა თაგვებზე არავითარი გავლენა არ მოახდინა და ისინი კვლავ განაგრძობდნენ მინდვრების განადგურებას. დამცველმა მოითხოვა, რომ გასამართლებული ყოფილიყვნენ მხოლოდ დიდი თაგვები, ხოლო წრუწუნები, როგორც სრულიად უდანაშაულონი და „მცირეწლოვანნი", — გამართლებულნი იქნანო.

ისტორიამ არ შემოგვინახა თუ როგორ დამთავრდა აღნიშნული პროცესი, სამაგიეროდ, თაგვების დამცველმა ისეთი პოპულარობა მოიპოვა, რომ მალე თურმე მაგისტრად აირჩიეს.

1545 წ. საფრანგეთის ქალაქ სენ-ჟულიენის მცხოვრებლებმა საჩივარი აღძრეს მათ ზვრებში შესეული მავნე მწერების წინააღმდეგ. სასამართლომ მწერებს ვერაფერი მოუხერხა. საქმე იმით დამთავრდა, რომ ისინი სასტიკად დასწყევლეს და ეკლესიიდან მოკვეთეს. დამცველმა თურმე იმით გაამართლა მწერები, რომ ბრალი დასდო ქალაქ სენ-ჟულიენის მცხოვრებლებს: ბევრი ცოდვა გაქვთ და როდესაც მოინანიებთ ყველა ამ ცოდვებს ღმერთის წინაშე — მწერები თავს მაშინ დაგანებებენო. ქალაქის მცხოვრებლებმა ახალი საჩივარი გაუგზავნეს საფრანგეთის გენერალურ პროკურორს და მოითხოვეს მწერების დასჯა. თურმე პროკურორმაც გაიმეორა დამცველის სიტყვები: ხალხმა უნდა მიმართოს ღმერთს, მოინანიოს თავისი ცოდვები და შემდეგ მწერებიც გაქრებიანო. ამით დამთავრდა ეს პროცესი. აღნიშნული პროცესის მასალები თურმე ოც ტომს შეიცავდა, ხოლო დამცველი — ვინმე ანტუან ფილიოლო ხუთი საათის განმავლობაში წარმოსთქვამდა სიტყვას „საცოდავი მწერების" სასარგებლოდ. მწერები დაუსჯელნი დარჩნენ, მაგრამ მათ მაინც გაუგზავნეს გამაფრთხილებელი უწყებები, რომ ისინი თუ კვლავაც დააზიანებენ ვაზს, — მათ მიმართ სასტიკი ზომები იქნება მიღებული.

**ჟურნალ „დროშის" № 3-ში დაბეჭდილი კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. ჯაფარიძე; 6. წერეთელი; 9. ზვიგენი; 10. იდიომი; 11. ბრიუნო; 15. კულინარია; 17 კრემი; 18. ტოლმა; 19. როდნინა; 20. ბატისტი; 24. ტორტი; 25. არაია; 26. ევპატორია; 29. შანხაი; 32. ბურჟუა; 33. ზვერევა; 34. ასათიანი; 35. არბენინი.

**შვეულად:** 1. „ფატიმა"; 2. მძივი; 3. ძეწნა; 4. მთვარე; 5. ჯანდიერი; 7. იაუნზემი; 8. „ეგმონტი", 12. ბუგრიმოვა; 13. ბიჟუტერია; 14. იმპორტი; 16. კონტური; 21. ჟორდანია; 22. მეტეორი; 23. ლიაბურბი; 27. სანათა; 28. მუხინა; 30. ზვინი; 31. გვარი.

გადაეცა ასაწყობად 6. 3. 78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14. 4. 78 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 54.000. შეკვ. 776 უე 00713. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-89.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.



ალექსანდრე საკოვის ფოტო.

● ბაიდარებით მტკვრის კვალდაკვალ.
● სპორტის ოსტატი ვალერიან ლობჟანიძე.
● შეჯიბრების დაწყებამდე.
● მწვრთნელი სულიკო ციციშვილი.
● ბაიდარებმა ჩაუარეს მეტეხს.



# ბაიდარებით

„შრომითი რეზერვების“ ნაკრები ემზადება ოლიმპიადისათვის — მოსკოვი — 80.







ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76056







გაზაფხული.

თარხან არჩვაძისა და სიმონ კილაძის ფოტო